სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 12 ივნისი 2008 №133 (3357) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე რაღაცეები ვიცით:

პორტუგალია მეოთხედფინალში, ლუიშ ფელიპე სკოლარი ჩელსიში

პირველად: ელოდეთ ჯგუფში პენალტებს!

წუხელ საკაბელო არხზე ყველა ის არხი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის მატჩებს გადმოსცემს, გათიშეს. ალბათ იმიტომ, რომ ფეხბურთისთვის მხოლოდ „რუსთავი 2“-ზე გვეყურებინა. კი, ბატონო, გამოსახულება ერთია და არც ჩვენი მეგობრის დიმიტრი ობოლაძის კომენტარებისა გვაქვს რამე მაინცდამაინც საწინააღმდეგო, მაგრამ ჩვენ „ენტევე ფუტბოლისა“ და „სპორტ 1“-ს სიგნალის მიღებაში საკაბელო ტელევიზიას ფულს ვუხდით! ეგებ განგვიმარტონ ვტყუვდებით თუ არა...

წმინდა სპორტული თვალსაზრისით კი უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ჯგუფურ ეტაპზე შესაძლოა პენალტების სერია დაინიშნოს!

როგორ? იხილეთ უეფას ევროპის ჩემპიონატის რეგულაციის 7.08 პუნქტი, რომლის თანახმადაც:

„თუკი ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან იდენტური მაჩვენებლების მქონე გუნდები, მათი შეხვედრის ფრედ დასრულების შემთხვევაში ინიშნება პენალტების სერია“.

მეორე დონის ერთა თასზე მესამე გუნდით

წაგება კი მაინც საწყენია

საქართველო 3:11 ს. აფრიკა

საქართველო: ბარკალაია, შკინინი, თოდუა, გიგაური, ჩხიკვაძე, მალალურაძე, სამხარაძე; უდესიანი (კაპ), გუნდიშვილი, ს. მაისურაძე, ბ. გუჯარაიძე, ნემსაძე, მელიქიძე, ნატრიაშვილი, გასვიანი

შეცვლაზე შევიდნენ: ხმალაძე, ბრეგვაძე, ხოსიტაშვილი, უჩავა, ძაგნიძე

სათადარიგონი: როხვაძე, კოლელიშვილი

1ს: ბარკალაია

ს. აფრიკა: ბასონი, ნოუბლი, სენთ ჯერი, ნიუმენი (კაპ), იანსენი, დოლი, პრეტორიუსი; პრინსლუ, რაუნბენჰაიმერი, მოფუ, დიუპლე, ხრობლერი, ლემერი, იენეკერი, იარუნ ფანიკერკი

შეცვლაზე შევიდნენ: ლოუსონი, როუზი, მალგაში, ფანიარსფელდტი, ადრიანსე, რუდტი, ჯონსონი

1ლ: ნოუბლი; **2ს:** დოლი

მსაჯი: ალან ფალცონე (იტალია)

ბუქარესტში დაწყებული მსოფლიოს ერთა თასზე, რომელიც მეორე დონის ნაკრებებისთვის მეტი ტესტის და გამოცდილების მისაღებად არის მოფიქრებული, გუშინ საქართველოს ნაკრებმა თავისი პირველი მატჩი ითამაშა და სამხრეთ აფრიკის „მზარდ ნაკრებთან“ 3:11 წააგო.

ვთქვით, საქართველოს ნაკრებიო, მაგრამ ეს პირობითია, რადგან ჩვენები ბუქარესტში ოცი ძირითადი რაზმელის გარეშე ჩავიდნენ და, მეორე კი არა, ლამის მესამე შემადგენლობით რაგბობენ.

აქვე ვთქვათ, რომ რამდენიმე გამოცდილ მორაგბესთან ერთად 20-წლამდელთა ნაკრების მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გუნდის მთავარ მწვრთნელ ტიმ ლეინს ასისტენტებად ბუქარესტში სწორედ 20-წლამდელთა თავკაცები ნიკო ჭავჭავაძე და ლევან მაისაშვილი გაყვნენ.

გუშინ ქართველების მეტოქე სამხრეთ აფრიკის 23-წლამდელთა ნაკრები იყო, რომელსაც სარაგბო ენაზე „მზარდი ქურციკები“ ჰქვია და სულ ნარჩევი და ზე-14-ში ნაცადი ჯეელებით არის შეკრული. სამშობლოში სწორედ მათ მიიჩნევენ სამხრეთ აფრიკის მომავლად და თავს ევლებიან. თუმც აფრიკელებმა თავისი იკითხონ, ჩვენ კი ჩვენებისა ვთქვათ.

გუშინ საქართველოს ნაკრებს თუნდაც მეორე შემადგენლობა რომ ჰყოლოდა, აფრიკელებს შავ დღეს აყრიდა, თუმც არც გუშინ დააკლეს მეტოქეს ჩვენმა დანარჩენმა რეზერვისტებმა ხელი. ეგაა, ანგარიშში ვერ აისახა ის უპირატესობა, რაც ქართველებს მეორე ტაიმში ჰქონდათ. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია ახალბედების კარგი თამაში, ვიდრე საცდელ ტურნირზე სამხრეთ აფრიკის „მომავლის ნაკრებთან“ წაგება.

ერთი კია, მართლაც გულდასაწყვეტია, როდესაც მთელი მეორე ტაიმი უტევ და მინიმუმ სამი სალელოვე შეტევიდან ერთსაც ვერ გამოიყენებ. ან ორჯერ ძელს რომ გაარტყამ ბურთს და ექვს ქულას დაკარგავ. ერთი სიტყვით, გუშინ ქართველებს არ გაუმართლათ, თუმც მთავარია, რომ გუნდს ტიმ ლეინის ხელი და საქართველოში გატარებული დრო აშკარად ეტყობა და ნაკრებში ძირითადი და სათადარიგო მოთამაშის ცნება ნელ-ნელა ქრება.

ბაჩო სვანიძე

აკა ტონიას თვალით დანახული დინამო, ამერი და საქართველო

ფიფას ლიცენზირებულმა აგენტმა აკა ტონიამ ამ ერთ კვირაში ორი სერიოზული საქმე გააკეთა: საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის, დიმიტრი ტატანაშვილის თბილისური „ამერიდან“ პლზენის „ვიქტორიაში“ ტრანსფერი მოაგვარა, ერთ-ორ დღეში კი საქართველოს ჩემპიოს თბილისის „დინამოს“ ახალი მწვრთნელი ჩამოუყვანა, გერმანელი რაინერ ცობელი. რა და როგორ იყო ტატანაშვილისა და ცობელის წაყვანა-წამოყვანისას, რა ხდებოდა ჩეხეთსა და გერმანიაში მოლაპარაკებისას, კიდევ რას ველოდოთ დღესდღეობით ყველაზე ავტორიტეტული და პოპულარული ქართველი აგენტისგან უახლოეს მომავალში — ამ და სხვა კითხვებზე გუშინ აკა ტონიამ გვიპასუხა...

— რაინერ ცობელი „დინამოს“ შესაძლო მწვრთნელთა სიაში ერთადერთი კანდიდატურა არ ყოფილა, „დინამოს“ სხვა მწვრთნელების სამსახურიც შევთავაზე, მაგრამ საბოლოო არჩევანი სწორედ ცობელზე შეჩერდა — გვითხრა აკა ტონიამ — მწვრთნელთან მოლაპარაკებისას მხოლოდ მის სამწვრთნელო თუ ფეხბურთელის კარიერას არ ვითვალისწინებდით, ყურადღება მივაქციეთ ცობელის პიროვნულ თვისებებს. მას ნამუშევარი აქვს სხვადასხვა კულტურისა და მენტალიტეტის ქვეყნებში და ყველგან საუკეთესო შედეგი აჩვენა. ცობელმა კარგად იცის ის ქვეყნებიც, სადაც არის სხვადასხვა სახის პრობლემები, მაგალითად, მსაჯობა, უხარისხო მოედნები... ის საკმაოდ გამოცდილი და ავტორიტეტული სპეციალისტია, თუმცა გავიმეორებ, რომ ცობელი მხოლოდ ამის გამო არ დანიშნულა „დინამოს“ თავკაცად. სერ ალექს ფერგიუსონზე გამოცდილი და ავტორიტეტული სპეციალისტი ვინ არის, მაგრამ მისი სახელი სულაც არ ნიშნავს, რომ მას სხვა გუნდებში ისეთივე წარმატება ექნება, როგორიც „მანჩესტერში“...

— ანუ?

— ანუ ცობელმა იცის ის პრობლემები, რაც, შესაძლოა, აქ შეექმნას, მას საქართველოს დარ საფეხბურთო ინფრასტრუქტურასა და მენტალიტეტის ქვეყნებში წარმატებით აქვს ნამუშევარი. ისე, სიტყვამ მოიტანა და, ალბათ ავჯობებს, სანაკრებო მწვრთნელის შერჩევისას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც ამავე კრიტერიუმებით იხელმძღვანელოს.

— როგორც ვიცით, ეროვნულ გუნდში პეტარ სეგრტის დანიშვნის მხარდაჭერი იყავით. ახლა, როცა ნაკრებმა ვერც ესტონეთს მოუგო და პორტუგალიასთანაც უსუსურად ითამაშა, რას იტყვით?

— მიმაჩნია, რომ იმ კანდიდატებს შორის, რომელიც აქამდე განიხილებოდა, სეგრტი საუკეთესო ვარიანტია, რადგანაც სხვადასხვა კრიტერიუმებს შორის გასათვალისწინებელი უნდა იყოს ფინანსური საკითხიც.

— საფეხბურთო სეზონის განახლებამდე კიდევ საკმაო დროა. მოსალოდნელია, რომ ქართული კლუბებში მწვრთნელი ან ფეხბურთელები ჩამოიყვანოთ?

— სამწუხაროდ, დღესდღეობით ქართული კლუბების უმრავლესობას არ აქვს იმის საშუალება, რომ კვალიფიცირებული უცხოელი მწვრთნელი მოიწვიონ. ერთადერთი „დინამოა“, რომელიც ამას ახერხებს და დუშან უჰრინს რაინერ ცობელი მოჰყვა. რაც შეეხება ფეხბურთელებს, ეს, ცხადია, ცობელის შეხედულებაზეა დამოკიდებული, ის თბილისში რამდენიმე დღეში ჩამოვა, გუნდს დააკვირდება და შემდეგ იტყვის, რომელ პოზიციაზე სჭირდება გუნდს გაძლიერება. მხოლოდ მწვრთნელის სიტყვის შემდეგ იქნება შესაძლებელი უცხოელი ფეხბურთელების ჩამოყვანის პერსპექტივაზე საუბარი.

— ისე, რომელი ქვეყნის გუნდებთან თუ კოლეგებთან გაქვთ ყველაზე ახლო ურთიერთობა? ცობელი გერმანიიდან ჩამოიყვანეთ, ტატანაშვილი ჩეხეთში მოეწყო...

— კარგი და ერთგული მეგობრები თითქმის ყველა ქვეყანაშია.

— ტატანაშვილის „ვიქტორიაში“ ტრანსფერი როგორ გაიჩარხა?

— „ვიქტორიას“ მწვრთნელები ტატანაშვილით „ამერის“ ჩეხური შეკრებისას დაინტერესდნენ და მასზე წვრილ-წვრილად მთხოვდნენ ინფორმაციის მიწოდებას. ჩეხებმა ტატანაშვილის შესაძლებლობები შეისწავლეს და აგერ, მიიწვიეს კიდეც. სხვათა შორის, „ვიქტორიამ“ ტატანაშვილთან კონტრაქტი ყოველგვარი გასინჯვისა და სხვა ზედმეტობების გარეშე გააფორმა, რაც საქართველოდან უცხოეთში წასული ფეხბურთელებისთვის არცთუ ხშირი ამბავია.

— ჩეხებისგან სხვა ქართველ ფეხბურთელებზე ხომ არ არის მოთხოვნა?

— ტატანაშვილი არ არის ერთადერთი, რომელსაც ჩეხები დღემდე აკვირდებიან.

— ისევ „ვიქტორიაზეა“ ლაპარაკი?

— ამას ჯერ ვერ გეტყვით.

— იმ ფეხბურთელთა ვინაობა მაინც გაგვიმხილეთ, ჩეხებს რომ აინტერესებთ...

— ისევ და ისევ ამერელებზეა მოთხოვნა. ჩეხებს დავით ბოლქვაძისა და გრიგოლ დოლიძის აყვანა სურთ. ამ ფეხბურთელთა თაობაზე მათთან უკვე ინტენსიური მოლაპარაკებები მაქვს.

— მოლაპარაკებები როდის დასრულდება?

— შეიძლება, დღესვე ითქვას საბოლოო პასუხი, შეიძლება, ხვალ.

კობა ინასარიძე

ბ. ბერიძის ფოტო

ცხადაძე ერთი წლით გაგრძელდა

აზერბაიჯანის ჩემპიონატში მხოლოდ ერთი წრე უთავკაცა კახა ცხადაძემ იქაურ „სტანდარდს“ და, როგორც ჩანს, მისი მუშაობით უკმაყოფილონი სულაც არ არიან. „სტანდარდმა“ ქართველ მწვრთნელს ერთი წლით გაუგრძელა კონტრაქტი.

აზერბაიჯანული ვებგვერდების ცნობით, გუშინ ცხადაძესა და კლუბის ხელმძღვანელობის შეხვედრაზე ორივე მხარემ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.

შეგახსენებთ: ცხადაძე „სტანდარდში“ მეორე წრის დაწყებამდე მივიდა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

პაჭელო ნეფთჩიმ მოიკითხა

გიორგი ჭელიძემ გუშინწინ გვითხრა, რომ „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობა დაპირებია, გუნდს მოგიძებნითო. ისიც დაამატა, რკინიგზელები უფრო გაყიდვას ფიქრობენ, რადგან ერთ წელიწადში კონტრაქტი მიმთავრდებაო.

„პაჭელოს“ მსურველი უკვე გამოუჩნდა — ქართველი თავდამსხმელით აზერბაიჯანული „ნეფთჩი“ ყოფილა დაინტერესებული, თუმც ამ ცნობის გამავრცელებელ ვებგვერდს ერთი ლაფსუსი მოუვიდა — ჭელიძე მცველად მოიხსენია.

იმავ ვებგვერდის ცნობით, „ნეფთჩი“ და „ლოკომოტივი“ უახლოეს დღეებში დაიწყებენ მოლაპარაკებას.

შეგახსენებთ: „ნეფთჩიმ“ აზერბაიჯანის ჩემპიონატში მესამე ადგილი და ინტერტოტოს თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. ამ ბაქოურ კლუბში კიდევ ერთი ქართველი ირიცხება, გიორგი ადამია.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ბოიომო ფრიდოლინი

ერიკ რომეო ჩასემი

ბადრი კეთილაძის ფოტოები

გადაწყდა: ზესტაფონის კამერუნული შენაძენები

საქართველოს თასის მფლობელმა „ზესტაფონმა“ გუშინ დაასრულა ბაკურიანული შეკრება და ახლა თბილისშია. 14 ივნისს თემურ მახარაძე გუნდს ურეკში წაიყვანს 10 დღით. იქამდე კი იმერლებმა ბოლნისის „სიონის“ კამერუნელი ფეხბურთელები — ბოიომო ფრიდოლინი და ერიკ რომეო ჩასემი გადაიბირეს. ეს თავად ჩასემმაც დაგვიდასტურა: „შეიძლება ითქვას, რომ „ზესტაფონის“ ფეხბურთელი ვარ, გუნდთან ერთად ვარჯიშს უახლოეს დღეებში დავიწყებ“.

ჩასემის შემატება „ზესტაფონს“ წინა სეზონშიც სურდა, კამერუნელმა რამდენიმე ვარჯიშიც ჩაატარა იმერულ გუნდში, თუმც მაშინ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ფრიდოლინისთან და ჩასემთან კონტრაქტები სამედიცინო შემოწმების შემდეგ გაფორმდებაო, გვითხრა „ზესტაფონის“ პრესატაშე სერგო ფუტკარაძემ.

კიდევ ერთი ახალწვეული ზაურ ხაჭიპერაძე, ვინც ჭიათურის „მაღაროელის“ საკუთრებაა, თითქმის გადაწყვეტილია, ასევე „ზესტაფონში“ ითამაშებს. რაც შეეხებათ კონტრაქტდამთავრებულებს — ედიკ საჯაიას, მურთაზ დაუშვილს და გიორგი ხიდეშელს მათთან კლუბი მოლაპარაკებას აწარმოებს და რამდენიმე დღეში გაირკვევა ეს საკითხი.

ნუკრი ლოლაძე

ვიტ ჯორჯიამაც დაიწყო

თბილისის „ვიტ ჯორჯია“ უკვე ახალი სეზონისთვის ემზადება. ფეხბურთელებმა სამედიცინო შემოწმება გაიარეს და დღეიდან ვარჯიშსაც შეუდგებიან.

როგორც მთავარმა მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ გვითხრა, 3-4 ოთხი დღე გუნდი კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ირბენს, შემდეგ კი წვრთნა მცხეთაში გაგრძელდება.

ვეტერინარებს შევსება ჯერ არ აქვთ, თუმც რამდენიმე ფეხბურთელით გავძლიერდებითო, გვითხრა მუმლაძემ.

ნუკრი ლოლაძე

პაატა დათუნაიშვილის გზა: ლიტვა ან საბერძნეთი

საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მარჯვენა მცველი პაატა დათუნაიშვილი მალე უცხოეთის გზას დაადგება. უფროს დათუნაიშვილს კონტრაქტი დაუმთავრდა „ვიტ ჯორჯიასთან“ და შესაბამისად, უფრო ადვილად შეეძლება წასვლა, ვიდრე ზამთარში — პაატას წასვლა თითქოს მაშინაც გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მაინც ვიტელებში დარჩა და სეზონის მეორე წრეში ერთ-ერთი საუკეთესოც იყო. აკი, რამდენჯერმე ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

„ხვალიდან „ვიტ ჯორჯიასთან“ ერთად ვივარჯიშებ. სანამ უცხოეთში წავალ, მინდა, ფორმა შევინარჩუნო. რამდენიმე კლუბის ვარიანტი მაქვს და რომელიც რეალური იქნება, იქ წავალ“ — გვითხრა პაატამ, რომლითაც ზამთარში თურქული „ბურსასფორი“ და მინსკის „დინამო“ იყვნენ დაინტერესებულნი.

ამჯერად კი დათუნაიშვილს ლიტვური და ბერძნული კლუბები ეპატიჟებიან. აზერბაიჯანულ გუნდებზეცაა ლაპარაკი, მაგრამ პაატამ გვითხრა, იქ წასვლაზე ჯერ არ ვფიქრობო.

„ლიტვაში რამდენიმე კლუბია, სადაც წასვლა სასარგებლოა. ჩემი მსურველი გუნდიც ლიტვის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესოა. რაც შეეხება საბერძნეთის ვარიანტს, უმაღლესი ლიგის კლუბზეა საუბარი, ოღონდ ვერ დავაკონკრეტებ“.

შეგახსენებთ, პაატას გარდა „ვიტ ჯორჯია“ ზაზა სახოკიამ და ბაჩანა ცხადაძემ დატოვეს. სახოკია სომხურ „მიკაში“ გადავიდა, ცხადაძე კი შესაძლოა, აზერბაიჯანულ „სტანდარდში“ გადაბარგდეს. სხვა დანაკლისი ვიტელებს არ აქვთ.

ილია ნანობაშვილი

იტალია

სერია B. პლეი ოფი.
ფინალი. პირველი მატჩი
ალბინოლეფე 0:1 ლეჩე

უგვედეთი

სუპერტა
გადადებული მატჩი
სირიუსი 1:0 ვასბიუ

ისლანდია

პრემიერლიგა. VII ტური
ფიოლნირი 1:0 ფილკირი

ბრაზილია

თასი. ფინალი.
საპასუხო მატჩი
რესიფე — კორინთიანსი (1:3)
წუხელ გვიან დასრულდა

ზურაბ ქვაჩახია: მივდივარ და გული მრჩება

თბილისური „ამერი“ კიდევ ერთმა ფეხბურთელმა დატოვა — გუნდს ამჯერად 35 წლის მეკარე ზურაბ ქვაჩახია დაშორდა, ვინც „ამერში“ ორნახევარი სეზონი გაატარა და ორჯერ საქართველოს თასიც აღმართა. ზურაბ ქვაჩახიას ახლახან დასრულებული ჩემპიონატის მეორე წრეში არ უთამაშია. გეხსომებათ, „ვიტ ჯორჯიასთან“ საშინაო მატჩისას ის არბიტრზე გაიქაჩა, გააძევეს და მოგვიანებით, სადისციპლინო კომიტეტის სასჯელიც მიიღო. ის თამაში გახლდათ ბოლო ამერული თამაში ზურაბ ქვაჩახიასთვის, მას შემდეგ კარი მისმა უმცროსმა კოლეგა ლადო ნადირაშვილმა ჩაიბარა...

ბადრი ჯიმილაძის ფოტო

— ნახევარი სეზონის უთამაშებელი იყავი. ეს არის „ამერიდან“ შენი წასვლის მიზეზი? — პირველად სწორედ ეს ვკითხეთ ზურაბ ქვაჩახიას.

— არა, უთამაშებლობა არაფერ შუაშია. ჩვეულებრივი ამბავია — „ამერთან“ კონტრაქტი დამიმთავრდა.

— გაგრძელებაზე ლაპარაკი არ ყოფილა?

— ამ საკითხზე საერთოდ არ გვისაუბრია.

— იმიტომ ხომ არა, რომ ძირითადში ადგილი დაკარგე?

— არა მგონია, ასე იყოს. ფეხბურთელი ხან ძირითადში იქნება, ხან — სათადარიგო.

— ახლა რას აპირებ?

— მოდით, მომავალზე ახლა ნუ ვილაპარაკებთ. მხოლოდ ერთს გეტყვით, რომ ფეხბურთის თამაშს კიდევ ვაპირებ.

— რა მიგაქვს „ამერიდან“?

— სიყვარული, პატივისცემა და კარგი მოგონებები. მე მიყვარს „ამერი“ და ყოველთვის ამ გუნდის ქომაგი ვიქნები.

— გულდაწყვეტილი ჩანხარ...

— ცხადია, სხვანაირად აბა, როგორ იქნება?! ამ გუნდში ორი წელიწადი გავატარე, ორჯერ მოვიგე საქართველოს თასი, ერთად გვიხაროდა და ერთად ვწუხდით, როცა ისე ვერ ვთამაშობდით, როგორც გვსურდა. მადლობელი ვარ მთელი „ამერის“, ამ გუნდში გატარებულ პერიოდს ყოველთვის სიამოვნებით გავიხსენებ.

— და „ვიტ ჯორჯიასთან“ იმ მატჩს ახლა როგორ გაიხსენებ?

— რა გითხრათ? ფეხბურთში ხდება ხოლმე ასე და ცუდია, რომ ამგვარი თავადაც შემემთხვა. ეშხში ვიყავი შესული და ემოციები ველარ მოვთოკე. ჩემს მაშინდელ საქციელს გამართლება არ აქვს თუნდაც იმიტომ, რომ მას შემდეგ აღარ მითამაშია.

— შენი ადგილი კი ლადო ნადირაშვილმა დაიკავა. მას რას ურჩევ?

— ლადოს ბევრად მეტი შეუძლია და დიდი ფეხბურთის სათამაშოდ ყველა მონაცემი აქვს. ვურჩევ, ვთხოვ, რომ კიდევ ბევრი იშრომოს და ნელ-ნელა თავისთავად გაერკვევა ყველა იმ ნიუანსში, რაც მეკარის თამაშისთვისაა დამახასიათებელი. ლადოს წარმატებასა და უმაღლეს დონეზე თამაშს ვუსურვებ.

— ყველაზე სასიამოვნო ამერული მოგონება კი, ალბათ, მაინც ის თასები იქნება...

— რა თქმა უნდა, თასები და თასის დაუვიწყარი ფინალური მატჩები. სამწუხაროა, რომ „ამერთან“ ერთად ჩემპიონობა ვეღარ შევძელი, თუმც, დარწმუნებული ვარ, „ამერი“ ამას მაინც შეძლებს და ვისურვებდი, რომ ამ მართლაც კარგ გუნდს, ეს ტიტულიც მალე მოეგოს.

კობა ინასარიძე



ზურაბ ფოლადაშვილის ფოტო

ზაზა ზამთარაძე და გიორგი კიკნაძე

კიკნაძემ ვარჯიშს თამაში მიუმატა

ერთი კვირაა, თბილისის „ლოკომოტივი“ ინტერტოტოს თასისთვის ემზადება.

მოგეხსენებათ, „ლოკომოტივი“ 21 ივნისს ლუგსემბურგულ „ეტცელას“ შეხვდება სტუმრად.

ბოლო რამდენიმე დღეა, გიორგი კიკნაძემ გუნდი ორჯერად ვარჯიშებზე გადაიყვანა, დღეს კი საკონტროლო მატჩსაც გამართავენ პირველლიგელ „ოლიმპიკთან“.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ რატი ალექსიძე და ვიტალი დარასელია „ლოკომოტივში“ დარჩებიან. თბილისურ გუნდში ითამაშებენ ახალწვეულები, ზურაბ ბათიაშვილი და ირაკლი ჩირიკაშვილიც.

კიკნაძის სამწყსოს ერთი ახალი ფეხბურთელიც შეემატა — თბილისის „მერანის“ მარცხენა მცველი ლევან სარალიძე.

ისიც ვთქვათ, რომ მიხეილ ალავიძის გარდა გუნდი არავის დაუტოვებია, თუმც გასარკვევია გიორგი ქუცურუას საკითხი და უახლოეს დღეებში ამასაც მოეფინება ნათელი.

როგორც მწვრთნელმა ზაზა ზამთარაძემ გვითხრა, ინტერტოტოს თასის მატჩამდე აღარავის დაიმატებენ და ამ შემადგენლობით შეებრძოლებიან ლუქსემბურგელებს.

ზამთარაძის თქმით, 16 ივნისს საქართველოს მოყვარულთა ნაკრებთან გეგმავენ კიდევ ერთ ტესტ-მატჩს, შემდეგ კი „ეტცელაა“ და იმედია, ჩვენებს ამ ბარიერის დაძლევა არ გაუჭირდებათ.

ნუკრი ლოლაძე

მეოცეში მეთხუთმეტედ

ამდენჯერ შეეცვალა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ფორმატი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის გადაწყვეტილებით, მე-20 ეროვნული ჩემპიონატი 2 აგვისტოს დაიწყება და ახალი ფორმატით ჩატარდება. ახალი ფორმატი ქართველი გულშემატკივრებისთვის „სიახლე“ სულაც არ არის. ჩემპიონატის ორგანიზატორებს თითქმის ყოველ წელს უხდებოდათ ფორმატის შეცვლა და ჯერჯერობით, ისეთი ფორმატი ვერ მოიძებნა, სულ ცოტა, სამ სეზონზე მეტი რომ გაეძლო...

საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი 1990 წელს გაიმართა გაზაფხულ-შემოდგომის სისტემით, მონაწილეობდა 18 გუნდი და უმაღლესი ლიგიდან გავარდა გათამაშებას ნაადრევად გამოკლებული ცხინვალის „ლიახვი“.

მომდევნო ჩემპიონატში გუნდების რაოდენობა ოცამდე გაიზარდა. უმაღლეს ლიგას უკვე ერთი გუნდი დაემშვიდობა, ისიც პლეი ოფით. ერთიც: ჩემპიონატი ჩატარდა გაზაფხულზე მხოლოდ ერთ წრედ.

იმავე წელს ეროვნული ჩემპიონატი შემოდგომა-გაზაფხულის სისტემაზე გადავიდა. მონაწილეთა რაოდენობაა 20, გავარდნილთა — 2.

1992-93 წლებში გუნდების რაოდენობა უცვლელია, უმაღლესი ლიგიდან არავინ გავარდნილა, მხოლოდ ადგილის შენარჩუნებით მოიხსნა სამი გუნდი.

სამმა გუნდმა მონაწილეობა ვერც 1993-94 წლებში მოახერხა, რომლის ფორმატი მნიშვნელოვნად შეიცვალა — ჩემპიონატში მონაწილეობდა 19 გუნდი (მიზეზთა გამო ჩემპიონატს გამოაკლდნენ სოხუმის „ცხუმი“, გალის „მზიური“ და ოჩამჩირის „ამირანი“). გუნდები გაყოფილნი იყვნენ ორ ჯგუფად. ჯგუფში საუკეთესო ხუთეულებმა გააგრძელეს მედლებისთვის ბრძოლა, სხვებმა კი — ადგილის შესანარჩუნებლად.

გავარდა ოთხი გუნდი, გადმოვიდა ერთი, რამაც მომდევნო ჩემპიონატის ფორმატის შეცვლის აუცილებლობა თავისთავად გამოიწვია.

მომდევნო ექვსი ჩემპიონატი უკვე 16-გუნდიანი იყო, თუმც მცირე ცვლილებები მაინც მოხდა.

1994-95 და 1995-96 წლებში გავარდა 2-2 გუნდი.

1996-97 — გავარდა სამი გუნდი.

1997-98 და 1998-99— გავარდა ორ-ორი გუნდი, ორ-ორიც გადათამაშებაში მოხვდა.

1999-00 — 16 გუნდი გაიყო ორ 8-გუნდიან ჯგუფად. ჯგუფებში ოთხი-ოთხი საუკეთესო მედლებისთვის იბრძვის, სხვები — დასარჩენად.

მძიმე ბრძოლები ჰქონდათ აუტსაიდერებსაც — უმაღლესი ლიგიდან გავარდა ოთხი გუნდი და მომდევნო ოთხი ჩემპიონატი 12-გუნდიანი გახდა, თუმცა ცვლილებები იქაც მოხდა.

2000-01, 2001-02 და 2002-03 წლებში 12-გუნდიანი ჩემპიონატი იყო — ორი წრის შემდეგ გუნდების მიერ მოპოვებული ქულების განახევრებით დაიყო ზედა და ქვედა ექვსეულებად.

გავარდა 2 გუნდი, ერთიც გადათამაშებაში მოხვდა.

2003-04 წლებში კი 3 გავარდა, 1 გადმოვიდა და ჩემპიონატიც 10-გუნდიანი გახდა.

2004-05 წლებში 10-გუნდიანი ჩემპიონატიდან სამომავლოდ რაოდენობის გაზრდის გამო არავინ გავარდნილა.

2005-06 წლებში ჩემპიონატი უკვე 16-გუნდიანია. ელიტიდან გავარდა 3, ერთი კი გადათამაშებაში მოხვდა.

2006-07 წლებში ჩემპიონატი თოთხმეტგუნდიანი ხდება — გავარდა 2, ერთიც გადათამაშებაშია.

2007-08 წლებში 14-გუნდიანი ჩემპიონატიდან გავარდა 3, 1 გადათამაშებაში მოხვდა.

და ბოლოს: მე-20 ჩემპიონატი 12-გუნდიანია და სამ წრედ ჩატარდება. გავარდება 2, ერთი კი გადათამაშებაში მოხვდება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტი

1990	18	1	3
1991	20	1	1
1991/92	20	2	2
1992/93	20	0	2
1993/94	22	4	1
1994/95	16	2	2
1995/96	16	2	2
1996/97	16	3	3
1997/98	16	2	2
1998/99	16	2	2
1999/00	16	4	0
2000/01	12	3	3
2001/02	12	2	2
2002/03	12	3	1
2003/04	12	3	1
2004/05	10	0	6
2005/06	16	3	1
2006/07	14	3	3
2007/08	14	3	1

შენიშვნა: პირველი სვეტი — სეზონი, მეორე სვეტი — გუნდების რაოდენობა, მესამე სვეტი — გავარდნილთა რაოდენობა, მეოთხე სვეტი — აღზევებულთა რაოდენობა

NBA პლეი ოფი. ფინალი

შემთხვევითობა გამორიცხულია ბრაიანტმა ჰოლივუდური პუბლიკა დაამშვიდა

მესამე თამაში. ლოს ანჯელესი
10 ივნისი

ბოსტონი 2:1 ლეიკერსი

ლეიკერსი 87:81 ბოსტონი

20:20 23:17 17:25 27:19

ლეიკერსი: ფიშერი (6), ბრაიანტი (36), რადმანოვიჩი (3), ოდომი (4), გასოლი (9 ქულა, 12 მოხსნა); ვუიაჩიჩი (20), ფარმარი (5), არიზა (4), ტურიაფი, უოლტონი

ბოსტონი: რონდო (8), ალენი (25), პირსი (6), გარნეტი (13 ქულა, 12 მოხსნა), პერკინსი (8); პოუზი (9), პაუსი (6), ბრაუნი (3), კასელი (2), პოუი (1)

ამერიკელები გიჟდებიან სტატისტიკაზე. თუნდაც ნბა-ში, რეგულარულ ჩემპიონატში თითო გუნდს 82 თამაში უწევს, პლეი ოფში კი სერიები 4 მოგებამდეა. რა ამბავიაო, გაიგონებთ, მაგრამ ამ შემთხვევაში რაოდენობა ნამდვილად არ აფუჭებს ხარისხს. ამერიკული სერია ევროპულ ერთ მატჩად რომ ქცეულიყო, წარმოგიდენიათ, რამდენ კარგ თამაშს „დაკარგავდა“ მაყურებელი? ერთი თამაშით რომ ვლინდებოდეს გამარჯვებული, მაშინ ვინმე შემთხვევით, ვთქვათ, ლეონ პოუი შეიძლება, ფინალის საუკეთესო მოთამაშეც კი გამხდარიყო. მანამდე ბევრი არაფრით გამორჩეულმა „ბოსტონის“ სამარქაფო ფორვარდმა პოუიმ მეორე თამაშში 21 ქულა გააკეთა, მაგრამ მისი გაბრწყინება შემთხვევითი რომ იყო, აგერ, „სელტიქს“ — „ლეიკერსის“ მესამე ჯახში გამოჩნდა. პოუის 1 ქულა კიდევ ერთხელ ადასტურებს ამერიკული სქემის სისწორეს.

სერიაში, სადაც გამარჯვებულად ოთხი თამაშის მომგები ცხადდება, შემთხვევითობები პრაქტიკულად გამორიცხულია და ამ სერიის მომგები ყველა ეჭვის გამფანტავი და ნამდვილი ჩემპიონია.

და რადგან „ბოსტონს“ ჯერ 4 თამაში არ მოუგია, წინასწარ ნურავინ „აჩუქებს“ ტიტულს, მით უმეტეს, რომ „ლეიკერსი“ დანებებას არ აპირებს.

დაძაბული გამოვიდა მესამე ჯახიც. ბოსტონში ზედიზედ ორჯერ ძლეულ „ლეიკერსს“ უკან დახევის უფლება არ ჰქონდა. ნერვიულობდა ყველა ლოსანჯელესელი, ვინაც 10 ივნისს „სტეიპლ სენთერის“ კომფორტული პირველი რიგიდან, თუ იაფფასიანი ქანდარიდან ადევნებდა თვალს ტიტანთა რკენას. შავტუხა მეჯიქ ჯონსონი A4 ფორმატის ქაღალდივით გაფითრებულიყო; ჯეკ ნიკოლსონს თვალები შავი სათვალის მიღმა ჩაემალა, ხოლო ნიკაპი — მუჭში; სილვესტერ სტალონე კი სკამზე კი არა, ნემსებზე იჯდა.

მაგრამ კობი ბრაიანტმა ყველა დაამშვიდა. რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშეს ნამდვილად არ სურს ფინალის უძვირფასესობის დაკარგვა — სამჯერ გახდა ჩემპიონი და სამჯერვე სხვას (შაკილ ონილს) დარჩა ეს ტიტული. წინა ორ თამაშზე, აბა, რა ითქმის, მან ვერ მოაგებინა თავის გუნდს, ახლა კი შეუდარებელი იყო და ყელში დაცვაწაჭერილ თამაშში 36 ქულით გაიბრწყინა, სხვა ვარსკვლავები ოდნავ კიაფობდნენ. ჩაქრა გარნეტი, ჩაფლავდა პირსი, ვერ ნავარდობდნენ ოდომ-გასოლიც. მხოლოდ ბოსტონელი რეი ალენი ჰგავდა ნამდვილ სუპერსტარს, მაგრამ ბრაიანტთან ისიც ვერ მივიდა. ის თავადაც ქულავდა „ბოსტონის“ კალათს და სხვებსაც ამხნევებდა. დაძაბულ, ლამის ქულა ქულაში მავალ თამაშში „ლეიკერსმა“ მხოლოდ ბოლო მეოთხედში გატეხა მეტოქე — მანამდე ჩაძინებულმა გასოლმა ფარქვეშიდან ორი ორიანი ჩააგდო, ორ წუთზე ოდნავ ნაკლები რომ რჩებოდა, საშა ვუიაჩიჩმა უმნიშვნელოვანესი სამქულიანით 81:76 დააწინაურა თავისი გუნდი, ცოტა ხანში კი დერეკ ფიშერმაც წყვილი საჯარიმოთი მისცა ბანი.

ბოსტონელებს კი, რომელთაც შეეძლოთ, 2:0 3:0-ად ექციათ და გული დაეარხეინებინათ, ამ წაგებისგან ტრაგედია არ შეუქმნიათ. „ცუდად კი ვითამაშეთ, მაგრამ მაინც გვქონდა მოგების შანსი და ესაა პოზიტივი — თქვა ალენმა ნამატჩევს — არ იფიქროთ, იმას ვამბობდე, კარგები და გადასარევები ვიყავით-მეთქი. იმის თქმას ვცდილობ, რომ დიდი რეზერვი გვაქვს და მომავალში აუცილებლად გამოვაჩენთ“.

ვანო კობიაშვილი



სილვესტერ სტალონე ნერვიულობისგან თამაშს ვეღარ უყურებდა



სერია მეცხრე. 1985
ლეიკერსი 4:2 სელტიქსი

ლეიკერსის ცხრაში ერთი

ქარიმ აბდულ-ჯაბარი (№33)

1984 წლის ისტორიული სერია რომ დამთავრდა, „სელტიქსთან“ 3:4 დამარცხებული „ლეიკერსი“ მაშინვე როდი გაფრინდა ლოს ანჯელესში. დამარცხებულები სასტუმროს ნომრებში შელაგდნენ, ბოსტონურ რადიოარხებს უსმენდნენ და არავის სურდა სიჩუმის დარღვევა. მეჯიქ ჯონსონმა ორი უახლოესი მეგობარი, დეტროიტელი აიზია ტომასი და დალასელი მარკ აგუირი ბარში ჩაიყვანა გულის გადასაყოლებლად. ისაუბრეს ყველაფერზე — მუსიკაზე, მანქანებზე, ძველ დროებაზე... ოღონდ არა კალათბურთზე. არავის გაუხსენებია მეჯიქთან ის ორკვირიანი ბოსტონური კოშმარი. გრძელი ღამე იყო...

მეორე დღიდან კი ბოსტონელებმა ძლეულ ლოსანჯელესელთა ცეცხლმოკიდებულ გულებზე ნავთის დასხმა იწყეს. კევინ მაკჰეილმა „ლეიკერსის“ ლიდერს „ტრეჯიქ“ ჯონსონი უწოდა მეჯიქ ჯონსონის ნაცვლად (აქაოდა, ჯადოსნური ტრაგიკულად გადაიქცაო). ლარი ბერდმა კი ასეთი მწარე სარკაზმი ესროლა — „ჩვენ მათ საშუალება მივეცით, საკუთარ თავთან მარტო დარჩენილიყვნენ და მომხდარი გაეანალიზებინათ. დარწმუნებული ვარ, მათ ისეთი მოთამაშეები ჰყავთ, რომლებმაც ისე ვერ ისროლეს, როგორც მთ კალიბრს შეეფერება“. ბერდს არ უხსენებია, მაგრამ ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ ის მეჯიქ ჯონსონს აჯავრებდა. მოკლედ, „სელტიქსმა“ ბოლომდე შეიტკბო ისტორიული მეტოქის ძლევის სიხარული.

რამდენიმე თვის შემდეგ ჯონსონი და ბერდი სარეკლამო ტურნეში მიიღებენ მონაწილეობას და იქ დაძმობილდებიან, მაგრამ ამით მათ სპორტულ დაპირისპირებას ვნება არ მოჰკლებია, პირიქით, მეტი ხიბლი შეიძინა.

ბერდი სპორტული კარიერის პიკზე იყო. 28 წლისამ 1985 წელს ზედიზედ მეორედ გაიყვანა „სელტიქსი“ ფინალში, თანაც რეგულარულ ჩემპიონატში საშუალოდ ნაგროვები 28,7 ქულით, 10,5 მოხსნით და 6,6 პასით ზედიზედ მეორედ დაასახელეს უძვირფასეს მოთამაშედ. დასავლეთიდან კი ფინალში, რაღა თქმა უნდა, მოიჩქაროდა ჯადო-კაცი თავისი გუნდით.

იმ წელს ფინალი პირველად ჩატარდა 2-3-2 სისტემით, ანუ ორი თამაში ბოსტონში, სამი ლოს ანჯელესში და ბოლო ორი ისევ ბოსტონში (მეშვიდე თამაშამდე საქმე აღარ მისულა). სადებიუტო შეხვედრაში კვლავ თავი იჩინა „ბოსტონ გარდენის“ ჩახუთულმა, ცუდად განიავებულმა ატმოსფერომ, სადაც ტემპერატურა ბევრით სცდებოდა 30 გრადუსს. 38 წლის ქარიმ აბდულ-ჯაბარს მოედანზე სირბილი კი არა, სიარულიც უჭირდა და ბევრად უკეთ ვერც 25 წლის ჯონსონი გრძნობდა თავს. „ბოსტონმაც“ 148:114 გაანადგურა „ლეიკერსი“. როდემდე უნდა გვტანჯოს ამ გუნდმა? ჩიოდნენ ლოსანჯელესელები. ისინი ისეთ გაუსაძლის ვითარებაში აღმოჩნდნენ, როგორიც ან წაგაქცევს, ან კაცად გაქცევს. მათ გაუძლეს და მაყურებელს აჩუქეს იშვიათი სანახაობა, ბოლომდე ბრძოლის მაგალითი და მაინც გაიტანეს თავისი.

პირველ თამაშში კი „სელტიქსს“ ყველაფერი გამოსდიოდა. სათადარიგო სკოტ ვედმანმაც კი 11-ვე სროლა ჩააგდო. „ეს ისეთი იღბლიანი დღე იყო, რომ ფარისკენ ზურგშექცეულს ბურთი უკან რომ გადაგეგდო, მაინც ჩავარდებოდა“ — ამბობდა გამარჯვებულთა თავკაცი კეისი ჯონსი.

მეორე თამაშში ყველაფერი შეტრიალდა. ქარიმ აბდულ-ჯაბარმა ბოდიში მოუხადა თანაგუნდელებს ორი დღის წინანდელი უსუსური თამაშისთვის, მოედანზე შევიდა და... 30 ქულა, 17 მოხსნა, 8 პასი და 3 დაფარება გააკეთა, „ლეიკერსმა“ კი სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

შინ დაბრუნებულმა „ლეიკერსმა“ იოლად მოიგო მესამე თამაში — ჯაბარმა ამჯერად 26 ქულა და 14 მოხსნა გააკეთა, ჯეიმს უორსიმ კი 29 ქულით მისცა ხმა.

უდაძაბულესი გამოდგა მეოთხე ჯახი: 105:105 ანგარიშზე ლარი ბერდმა ორი დამცველის ხელებსშუა მისცა პასი დენის ჯონსონს და მანაც გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო, რითაც სერია მეორედ გათანაბრდა. არა, ნამდვილად არავის სურდა დათმობა.

მეხუთე თამაშის დასაწყისში „ლეიკერსს“ ერთობ გაუჭირდა ბოსტონელთა თვდამსხმელ კევინ მიკჰეილთან გამკლავება. ის და ბერდი შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ და „მაკმა“ ბევრი ჩაყარა. „ლეიკერსის“ თავკაცმა პატ რაილიმ მისი გაჩერება ჯაბარის მეშვეობით სცადა და 218-სანტიმეტრიანმა ცენტრმა გაცილებით დაბალ ოპონენტს ხელი აღარ გაანძრევინა. ჯაბარს სულ 36 ქულა მოუგროვდა, რომლის დიდი წილიც მეჯიქის პასებით ჩაყარა და „ლეიკერსმაც“ 120:111 იძალა.

დაძაბულობამ პიკს მეექვსე, ბოსტონურ თამაშში მიაღწია — პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში 55:65 გახლდათ. რაილიმ შენიშნა, რომ მისმა ოპონენტმა მხოლოდ 7 კაცი ათამაშა პირველ ტაიმში, ბოსტონელებს ქანცი ჰქონდათ გაწყვეტილი და მან ასეთი განკარგულება გასცა — „მოუმატეთ ტემპს, აკეთეთ ბევრი პასი და ნუ შეგეშინდებათ დაკარგვების. მთავარია, ეგენი ბოლომდე დავღალოთ“.

მეჯიქმა მოედანზე პირდაპირ ცეცხლი დაანთო. „სელტიქსი“ მაკჰეილის (36 ქულა) წყალობით უძალიანდებოდა. ჩვეულებრივ ხელბასრი ბერდი ბევრს აცილებდა, თუმც თითქმის 30 ქულა ჩაგდო, მაგრამ „ლეიკერსს“ შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. ჯაბარმა კიდევ ერთხელ აჯობა მოწინააღმდეგეებსაც და მძიმე ჰაერსაც, მეორე ტაიმში 18 ქულა გააკეთა, (სულ 29) და მეექვსე თამაში 111:100 მოაგებინა „ლეიკერსს“.

ოჰ, როგორ ელოდა მთელი ლოს ანჯელესი ამ დღეს. „სელტიქსთან“ ზედიზედ რვა წაგებულ ფინალში დაგროვილმა მუხტმა მთელი ძალით იფეთქა. „ლეიკერსმა“ პირველად, მხოლოდ მეცხრე ცდაზე დაამარცხა „სელტიქსი“ ფინალში. ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედ კი ქარიმ აბდულ-ჯაბარი დასახელდა.

მეჯიქ ჯონსონი ყვიროდა — „ხომ დავამარცხეთ? მაინც ხომ დავამარცხეთ? მთელი წელი ველოდი ამას, ამ მოლოდინმა გამხადა ასეთი ძლიერი“.

ირაკლი ფირაშვილი

Formula 1
რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

კანადური ბალზამი

დევიდ კულტჰარდის 62-ე პოდიუმი

გასულ უქმეებზე გამართული კანადის დიდი პრიზის ერთ-ერთი უმთავრესი გმირი ვეტერანი შოტლანდიელი დევიდ კულტჰარდი იყო, რომელმაც „BMW-ზაუბერის“ პილოტების, რობერტ კუბიცასა და ნიკ ჰაიდფელდის შემდეგ მესამემ უწია ფინიშს და თავის ხანგრძლივ, 15-სეზონიან კარიერაში 62-ედ შედგა პოდიუმზე ფეხი.

ისიც სათქმელია, რომ წლეულს კულტჰარდი, კანადამდე უქულოდ იყო და „რედ ბულისთვის“, თითქოს მარტო ავსტრალიელი მარკ ვებერი შრომობდა. ახლა კი კულტჰარდმაც აიღო 6 ქულა და „რენოს“ ძრავიანი „წითელი ხარები“ გუნდურ ჩათვლაში „რენოზე“ მაღლა, მე-4 ადგილზე არიან და მხოლოდ ტოპ-გუნდებს, „ფერარის“, „BMW-ზაუბერსა“ და „მაკლარენს“ ჩამორჩებიან.

„უაღრესად კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. სეზონი ჩემთვის ძალიან რთულად დაიწყო და ნამდვილად არ მეგონა, მონრეალში პოდიუმზე თუ შევდგებოდი. ეს მშვენიერი საჩუქარია გუნდისთვის, რომელმაც ბოლო ხანებში კოლოსალური სამუშაო ჩაატარა — განაცხადა შოტლანდიელმა და დაამატა — ეს ჩემი 62-ე პოდიუმია და მე ვიხსენებ 1994 წლის კანადის დიდ პრიზს, როდესაც პირველი ჩასათვლელი ქულები მოვიპოვე. 15 სეზონი, ეს ძალიან დიდი დროა, თუმცა ეს საქმე ჯერაც არ მომყირჭებია“.

„რედ ბულის“ ხელმძღვანელის კრისტიან ჰორნერის აზრით, მონრეალში მიღწეული წარმატება უაღრესად მნიშვნელოვანი იყო კულტჰარდისთვის. „პოდიუმი კანადაში, ეს მშვენიერი შედეგია მთლიანად გუნდისთვის და კერძოდ, დევიდისთვის. ბოლოდროინდელი წარუმატებლობების შემდეგ ის ვერ იყო კარგ ხასიათზე და მუდმივად ვეუბნებოდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, მთავარი იყო, ფოკუსი არ დაეკარგა. მან დიდებული რბოლა ჩაატარა, გამოიყენა რა თავისი უზარმაზარი გამოცდილება. თანაც ჩვენმა სტრატეგიამაც გაამართლა და შედეგიც მივიღეთ. ძალიან მოხარული ვარ როგორც დევიდის, ისე მთელი გუნდის გამო — წლევანდელი სეზონის მეშვიდე რბოლაში ჩვენი პილოტები მეექვსედ მოხვდნენ ქულათა ზონაში — განაცხადა ჰორნერმა AUTOSPORT-თან ინტერვიუში და იქვე დაამატა — ყველა, ვისაც 200-ზე მეტ რბოლაში მიუღია მონაწილეობა, მოხვედრილა რთულ მდგომარეობაში. კულტჰარდი ნამდვილი პროფესიონალია. ის ჯერაც არნახულად მოტივირებულია და ძალუძს სიძნელეების გადალახვა. კანადური პოდიუმი დევიდისთვის ბალზამივით არის და მჯერა, კიდევ ბევრ წარმატებას მიაღწევს“.

კახა ლომაძე

მეორე წრის ქართველები



ეკა გორგოძე

წლეულს უაღრესად წარუმატებლად მოთამაშე მაკა ჩახნაშვილისთვის ვერც საფრანგეთში, მარსელის თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 75-ათასიანი ტურნირი გამოდგა იღბლიანი. საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა პირველივე წრეში 6:3 4:6 3:6 წააგო რეიტინგში 206-ე პოზიციაზე მყოფ 20 წლის რუმინელ აგნეშ ჟატმარისთან და შეჯიბრი ნაადრევად დაასრულა.

აი, ანა ტატიშვილმა კი მოგებით დაიწყო. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ტეხასური ელ პასოს ჰარდზე 25-ათასიანი ტურნირი ტარდება და მეორე ნომრად განთესილმა ქართველმა კლასიფიკაციის 518-ე ნომერს, ამერიკელ ალექსის პრუსისს 3:6 6:1 7:5 სძლია. მეორე წრეში ანას მეტოქე ორი კვალიფიკანტი მასპინძლიდან ერთ-ერთი იქნება — ან ლინდსი ლიუოტერსი, ანაც ანა ვიშნიკი.

თურქეთში, სტამბოლის მაგარსაფარზე კი 10-ათასიანი ტურნირია, რომლის ძირითად ბადეში ხუთი ჩვენებური იყო და სამი მათგანი მეორე წრეში გავიდა. ეკა გორგოძემ რუს ეკატერინა კისელიოვას რომ მოუგო, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი და მეორე წრეში ეკა თურქეთის პირველ ჩოგანს, მეორე ნომრად განთესილ კაგლა ბუიუკაკჩაის შეხვდება, რომელმაც გორგოძესავით კვალიფიკაციაგავლილ ანა ჯიქიას 6:1 6:4 აჯობა.

ჯიქიას გარდა, პირველ წრეში სოფო ქვაცაბაიაც დამარცხდა, ოღონდაც სოფოს მეორე ჩვენებურმა, ოქსანა კალაშნიკოვამ მოუგო 7:5 6:1. კალაშნიკოვასა და გორგოძის გარდა, მეორე წრეში ითამაშებს მანანა შაფაქიძეც, რომელმაც ავსტრალიელი ჯეიდ ჰოპერი დაამარცხა.

მეორე წრეში გორგოძე, როგორც ვთქვით, თურქ ბუიუკაკჩაის ხვდება, კალაშნიკოვა — რუს მარია ჟარკოვას, ვისაც რეიტინგის 703-ე პოზიცია უკავია, ხოლო შაფაქიძის მეტოქე კლასიფიკაციის 973-ე ნომერი, ბელგიელი ინეკ მერგეტი იქნება.

ამასობაში უკრაინული ჩერკასკი, სადაც კაცთა 10-ათასიანი შეჯიბრი მიმდინარეობს, ქართველებისგან დაიცალა. ტურნირს შემორჩენილი უკანასკნელი ჩვენებური ლაზარე კუხალაშვილი პირველ ნომრად განთესილ მასპინძელთან, რეიტინგის 411-ე საფეხურზე მყოფ არტიომ სმირნოვთან 0:6 3:6 დამარცხდა.

საქართველოს ჩემპიონატი კაცებში. ფინალი

სტუდენტებმა წაგებული მოაბრუნეს

სდასუ 3:2 ცაგერი

25:27, 20:25, 25:17, 25:21, 15:13

გუშინ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში საქართველოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა გაიმართა კაც ფრენბურთელთა შორის. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს ცაგერის „ცაგერი“ და თბილისის სდასუ დაუპირისპირდნენ. გამარჯვებულის გამოვლენას ხუთი სეტი დასჭირდა. სტუდენტებმა საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში შესძლეს მატჩის მოგება.

თამაში ცაგერელთა უპირატესობით დაიწყო. მათ პირველ პარტიაში 27:25 იმარჯვეს და ფინალურ შეხვედრაში ანგარიში გახსნეს. მეორე სეტი „ცაგერმა“ პირველზე უფრო დამაჯერებლად ჩაატარა. სტუმრებმა 25:20 მოიგეს და თითქოს საქართველოს ჩემპიონის ვინაობაც გამოავლინეს. მესამე სეტში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. სდასუს ახალგაზრდა მობურთალებმა თამაშის ბედი მოატრიალეს — 25:17. სტუდენტებს არც მეოთხე სეტის მოგება გასჭირვებიათ. სტუმრები ბევრ ელემენტარულ შეცდომას უშვებდნენ და დაისაჯნენ კიდეც — 25:21.

გადამწყვეტ სეტში ცაგერელები 8:4 იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდნენ — 15:13. საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებული სდასუ გახდა. მეორე ადგილზე „ცაგერი“ გავიდა, ხოლო ბრინჯაოს მედლები „ყაზტრანსგაზის“ გუნდმა დაისაკუთრა.

ზურაბ მიგრიაული

ჩეხური ოქრო-ბრინჯაო

ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე სამმა ქართველმა მოცურავემ — ირაკლი რევიშვილმა (200, 400 და 1 500 მეტრი თავისუფალი სტილი), ანა სალნიკოვამ (50 და 100 მეტრი ბრასი) და გიორგი მთვრალაშვილიმა (50 მეტრი ბრასი, 200 და 400 მეტრი კომპლექსური ცურვა) — იასპარეზა. ირაკლი რევიშვილმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოქროს მედალი მოიპოვა. მანვე 1 500-მეტრიან დისტანციაზე ბრინჯაო აიღო. ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა გიორგი მთვრალაშვილიც. იგი ტურნირის პრიზიორი 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გახდა.

ზურაბ მიგრიაული

კოტორას ახალი ალბომი



ალექსანდრე კოტორაშვილის დარი პროდუქტიული ფოტოგრაფი საქართველოში ერთი-ორი თუ იქნება. თუმცა, ცხადია, საქმე პირველ რიგში ხარისხშია და „კოტორას“ ფოტოებისთვის წუნის მოძებნა ძნელი რომ არის, მთავარიც ეგაა.

ალექსანდრე კოტორაშვილმა ახლა ხანს ახალი ალბომი გამოსცა, რომელშიც მისი 46 ფოტოა შესული. მათგან უძველესი 1965 წლით თარიღდება, უახლესი კი — 2006 წლით.

ამ ფოტოების უმრავლესობა ისეთია, ძველი დროიდან რომ გვახსოვს. „კოტორას“ ფოტოების დავიწყება მართლა ძნელია.

ᰠᰣᰠᰤᰠᰢᰠᰣᰠᰤᰠᰢᰠᰣᰠᰤᰠᰢ

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფინეთი. ვაიკაუსლიგა						
		12 ივნისი						
19:00	466	ლაჰტი-ტურკუ	2.55	3.30	2.60	1.43	1.28	1.45
		აშშ. MLS						
		13 ივნისი						
05:00	465	ჰიუსტონი-ნიუ ინგლენდი	2.20	3.20	3.05	1.30	1.27	1.56
		ბრაზილია. ჩემპიონატი						
		13 ივნისი						
03:30	454	პალმეირეასი-კრუზეირო	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
03:30	455	ატლეტიკო მნ-იპატინგა	1.50	3.60	5.40	1.05	1.17	2.16
03:30	456	ფლუმინენსე-სანტოსი	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72
		14 ივნისი						
23:00	457	ინტერნასიონალი-ბოტაფოგო	1.70	3.50	4.00	1.14	1.19	1.86
23:00	458	ფიგეირენსე-სპორტ რისიფე	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
23:00	459	პორტუგესა-ატლეტიკო პრ	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
23:00	460	ფლამენგო-სან პაულუ	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
		15 ივნისი						
01:10	461	კურიტიბა-ვიტორია	1.75	3.40	3.90	1.15	1.20	1.81
01:10	462	ნაუტიკო-ვასკუ და გამა	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
01:10	463	გოიასი-გრემიო	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		FIFA. მჩ 2010 შესარჩევი მატჩები						
		13 ივნისი						
16:00	409	ჯიბუტი-დრ კონგო	7.50	4.00	1.35	2.60	1.14	1.00
21:00	410	მავრიტანია-ეთიოპია	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
		14 ივნისი						
16:30	411	მალავი-ეგვიპტე	7.20	3.90	1.35	2.52	1.13	1.00
16:30	412	სეიშელი-ბურკინა ფასო	6.60	3.70	1.45	2.37	1.18	1.04
17:00	415	კენია-ზიმბაბვე	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
17:00	416	უგანდა-ანგოლა	3.45	3.20	1.95	1.66	1.24	1.21
17:30	417	რუანდა-მაროკო	7.00	4.00	1.38	2.54	1.15	1.02
18:00	418	ნამიბია-გვინეა	2.85	3.20	2.20	1.50	1.24	1.30
18:30	419	გაბონი-განა	5.20	3.40	1.55	2.05	1.19	1.06
19:00	420	ნიგერი-ბენინი	2.70	3.10	2.35	1.44	1.25	1.33
19:00	421	ჩადი-კონგო	3.20	3.20	2.05	1.60	1.24	1.24
20:30	422	სიერა ლეონე-სამხ. აფრიკა	4.70	3.40	1.65	1.97	1.22	1.11
21:00	423	გამბია-ალჟირი	2.95	3.20	2.15	1.53	1.24	1.28
21:00	424	სუდანი-მალი	4.00	3.30	1.75	1.80	1.21	1.14
12:20	433	ტაილანდი-იაპონია	7.00	3.80	1.40	2.46	1.16	1.02
16:00	435	ჩინეთი-ერაყი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
20:00	438	ყატარი-ავსტრალია	3.80	3.20	1.80	1.73	1.22	1.15
21:00	440	სირია-ირანი	2.85	3.10	2.20	1.48	1.24	1.28
21:45	441	კუვეიტი-საამიროები	2.30	3.10	2.70	1.32	1.24	1.44
23:00	442	ურუგვაი-ვენესუელა	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
		15 ივნისი						
15:30	426	მადაგასკარი-მოზამბიკი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
17:00	428	ბურუნდი-ტუნისი	4.70	3.30	1.65	1.93	1.22	1.10
17:00	429	ლესოტო-ლიბია	4.60	3.30	1.65	1.92	1.21	1.10
18:30	430	ეკვატორული გვინეა-ნიგერია	5.50	3.50	1.50	2.13	1.17	1.04
20:00	431	ლიბერია-სენეგალი	6.20	3.50	1.45	2.23	1.17	1.02
05:00	443	პერუ-კოლუმბია	2.15	3.20	2.95	1.28	1.24	1.53
23:00	444	პარაგვაი-ბრაზილია	3.65	3.20	1.90	1.70	1.24	1.19
		16 ივნისი						
01:10	445	არგენტინა-ეკვადორი	1.15	5.50	12.00	1.00	1.04	3.77
03:20	446	ბოლივია-ჩილე	2.40	3.10	2.60	1.35	1.24	1.41
		UEFA. ევროპის ჩემპიონატი 2008						
		12 ივნისი						
20:00	11	ხორვატია-გერმანია	4.50	3.20	1.85	1.87	1.31	1.17
22:45	12	ავსტრია-პოლონეთი	3.10	3.20	2.30	1.57	1.32	1.33
		13 ივნისი						
20:00	13	იტალია-რუმინეთი	1.75	3.30	5.00	1.14	1.29	1.98
22:45	14	ჰოლანდია-საფრანგეთი	2.60	3.10	2.65	1.41	1.31	1.42
		14 ივნისი						
20:00	15	შვედეთი-ესპანეთი	5.00	3.20	1.75	1.95	1.29	1.13
22:45	16	საბერძნეთი-რუსეთი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
		რუსეთი. თასი						
		13 ივნისი						
16:00	407	გაზოვიკი ორ-ალნასი	1.11	6.50	10.00	1.00	1.00	3.93
16:00	408	ლადა ტ-ვოლგა ნნ	3.80	2.90	1.95	1.64	1.28	1.16

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10011	ხორვატია-გერმანია	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10012	ავსტრია-პოლონეთი	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10013	იტალია-რუმინეთი	2.20	2.10	4.30	1.07	1.45	1.41
10014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3.30	2.00	2.65	1.24	1.46	1.13
10015	შვედეთი-ესპანეთი	4.90	2.10	2.10	1.47	1.47	1.04
10016	საბერძნეთი-რუსეთი	3.20	2.00	2.50	1.23	1.40	1.11

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11011	ხორვატია-გერმანია	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11012	ავსტრია-პოლონეთი	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11013	იტალია-რუმინეთი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11014	ჰოლანდია-საფრანგეთი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11015	შვედეთი-ესპანეთი	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.50
11016	საბერძნეთი-რუსეთი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00

შესაძლო ცვლილებები დაიზუსტეთ ადგილზე

რომელ ტაიმში იქნება მეტი კუთხური(ძირ. დრო)

		I-ში	თანაბრად	II-ში
40011	ხორვატია-გერმანია	2.10	4.00	1.80
40012	ავსტრია-პოლონეთი	2.10	4.00	1.80

ვინ მიიღებს პირველ ყ ან წ ბარათს (ძირ. დრო)

		1	2
33011	ხორვატია-გერმანია	1.60	2.10
33012	ავსტრია-პოლონეთი	1.70	1.90

პირველ ტაიმში გატანილი გოლების რაოდენობა

			ნაკ.	მეტ.
22011	ხორვატია-გერმანია	1,5	1.25	2.60
22012	ავსტრია-პოლონეთი	1,5	1.25	2.60

ყვითელი ბარათების რაოდენობა (ძირ. დრო)

			ნაკ.	მეტ.
34011	ხორვატია-გერმანია	4,5	1.50	2.20
34012	ავსტრია-პოლონეთი	4,5	1.55	2.20

პირველი გოლი 0-29/ 30-90 (ძირ. დრო)

		1	2
35011	ხორვატია-გერმანია	1.90	1.90
35012	ავსტრია-პოლონეთი	1.90	1.90

პირველი ტაიმი ფრეს გარეშე

		კი	არა
23011	ხორვატია-გერმანია	2.15	1.13
23012	ავსტრია-პოლონეთი	1.65	1.30

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

			ნაკ.	მეტ.
12011	ხორვატია-გერმანია	2,5	1.60	2.00
12012	ავსტრია-პოლონეთი	2,5	1.55	2.10
12013	იტალია-რუმინეთი	2,5	1.55	2.30
12014	ჰოლანდია-საფრანგეთი	2,5	1.55	

ვინ დაიწყებს თამაშს

		1	2
31011	ხორვატია-გერმანია	1.90	1.90
31012	ავსტრია-პოლონეთი	1.90	1.90

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო)

			ნაკ.	მეტ.
20011	ხორვატია-გერმანია	10,5	1.70	1.90
20012	ავსტრია-პოლონეთი	10,5	1.70	1.90

თამაშგარე მდგომარეობა (ძირ. დრო)

			ნაკ.	მეტ.
36011	ხორვატია-გერმანია	5,5	1.90	1.60
36012	ავსტრია-პოლონეთი	5,5	1.90	1.60

იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

		კი	არა
21011	ხორვატია-გერმანია	3.00	1.20
21012	ავსტრია-პოლონეთი	3.00	1.20

პირველ ტაიმში კუთხურების რაოდენობა

			ნაკ.	მეტ.
24011	ხორვატია-გერმანია	5,5	1.70	1.80
24012	ავსტრია-პოლონეთი	4,5	1.90	1.70

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

		1	2
32011	ხორვატია-გერმანია	2.10	1.55
32012	ავსტრია-პოლონეთი	1.90	1.70

გოლი გავა კომპენსირებულ დროში

39011	ხორვატია-გერმანია	კი	3.10
39012	ავსტრია-პოლონეთი	კი	3.10

გაიტანს თუ არა შეცვლაზე შემოსული გოლს(ძირ დრო)

49011	ხორვატია-გერმანია	კი	3.70
49012	ავსტრია-პოლონეთი	კი	3.70

პირველ ტაიმში იქნება შეცვლა

43011	ხორვატია-გერმანია	კი	3.50
43012	ავსტრია-პოლონეთი	კი	3.50

მეკარე შეიცვლება (ძირ. დრო)

45011	ხორვატია-გერმანია	კი	6.00
45012	ავსტრია-პოლონეთი	კი	6.00

იქნება გაძევება(ძირ. დრო)

37011	ხორვატია-გერმანია	კი	3.30
37012	ავსტრია-პოლონეთი	კი	3.30

II ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
19011	ხორვატია-გერმანია	4.10	2.30	2.10	1.47	1.38	1.09
19012	ავსტრია-პოლონეთი	3.00	2.30	2.60	1.30	1.39	1.22

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

		ნაკ.	მეტ.
13011	ხორვატია-გერმანია	1.70	1.90
13012	ავსტრია-პოლონეთი	1.70	1.90
13013	იტალია-რუმინეთი	1.90	1.70
13014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.70	1.90
13015	შვედეთი-ესპანეთი	1.90	1.70
13016	საბერძნეთი-რუსეთი	1.70	1.90

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17011	ხორვატია-გერმანია	1.85	1.95
17012	ავსტრია-პოლონეთი	1.85	1.95
17013	იტალია-რუმინეთი	1.85	1.95
17014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.85	1.95
17015	შვედეთი-ესპანეთი	1.85	1.95
17016	საბერძნეთი-რუსეთი	1.85	1.95

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15011	ხორვატია-გერმანია	3.00	2.80	2.00
15012	ავსტრია-პოლონეთი	3.00	2.80	2.00
15013	იტალია-რუმინეთი	3.00	2.80	2.00
15014	ჰოლანდია-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00
15015	შვედეთი-ესპანეთი	3.00	2.80	2.00
15016	საბერძნეთი-რუსეთი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16011	ხორვატია-გერმანია	2.10	1.60
16012	ავსტრია-პოლონეთი	2.10	1.60
16013	იტალია-რუმინეთი	1.30	3.00
16014	ჰოლანდია-საფრანგეთი	2.05	1.65
16015	შვედეთი-ესპანეთი	3.00	1.30
16016	საბერძნეთი-რუსეთი	1.70	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14011	ხორვატია-გერმანია	2.00	1.80
14012	ავსტრია-პოლონეთი	2.00	1.80
14013	იტალია-რუმინეთი	1.65	2.30
14014	ჰოლანდია-საფრანგეთი	1.95	1.85
14015	შვედეთი-ესპანეთი	2.30	1.65
14016	საბერძნეთი-რუსეთი	1.85	1.95

ზუსტი ანგარიში

47011	ხორვატია-გერმანია	1:0	8.00
47011	ხორვატია-გერმანია	2:3	20.00
47011	ხორვატია-გერმანია	3:0	20.00
47011	ხორვატია-გერმანია	0:1	5.00
47011	ხორვატია-გერმანია	3:1	30.00
47011	ხორვატია-გერმანია	3:0	30.00
47011	ხორვატია-გერმანია	1:1	6.00
47011	ხორვატია-გერმანია	2:0	12.00
47011	ხორვატია-გერმანია	2:2	12.00
47011	ხორვატია-გერმანია	1:3	12.00
47011	ხორვატია-გერმანია	0:2	7.00
47011	ხორვატია-გერმანია	1:2	7.00
47011	ხორვატია-გერმანია	0:3	10.00
47011	ხორვატია-გერმანია	0:0	7.50
47011	ხორვატია-გერმანია	2:1	12.00

47012	ავსტრია-პოლონეთი	0:2	10.00
47012	ავსტრია-პოლონეთი	1:0	7.00
47012	ავსტრია-პოლონეთი	3:0	30.00
47012	ავსტრია-პოლონეთი	2:1	10.00
47012	ავსტრია-პოლონეთი	3:1	20.00
47012	ავსტრია-პოლონეთი	3:2	25.00
47012	ავსტრია-პოლონეთი	0:0	7.50
47012	ავსტრია-პოლონეთი	1:1	6.00
47012	ავსტრია-პოლონეთი	0:1	6.50
47012	ავსტრია-პოლონეთი	1:2	8.50
47012	ავსტრია-პოლონეთი	0:3	20.00
47012	ავსტრია-პოლონეთი	1:3	15.00
47012	ავსტრია-პოლონეთი	2:0	10.00
47012	ავსტრია-პოლონეთი	2:3	25.00
47012	ავსტრია-პოლონეთი	2:2	12.00

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი პასპორტი გაქვს, ლუკაშ...

თუ იცით, რამდენი პასპორტი აქვს ლუკაშ პოდოლსკის? აღმოჩნდა, რომ გერმანიის ნაკრების ფორვარდს ჯიბეში პოლონეთისა და გერმანიის პასპორტები უდევს. პოდოლსკის ორმაგი მოქალაქეობა გერმანია-პოლონეთის მატჩის შემდეგ გახდა სალაპარაკო. გეხსომებათ, იმ მატჩში პოდოლსკიმ ორი გოლი გაუტანა პოლონელებს, თუმც გოლისშემდგომი ხტუნვა და სიხარული მაინცდამაინც არ გამოუხატავს.

პოდოლსკი მამით პოლონელი და დედით გერმანელია. პოლონეთში დაიბადა და გაიზარდა, გერმანიაში კი ოჯახით 14 წლისა გადასახლდა. ახლა კი მისი დუბლი და პოლონური პასპორტი ისტორიულ სამშობლოში პოლიტიკოსების სალაპარაკო გახდა.

პოლონეთის განათლების ყოფილი მინისტრი, ახლა კი ნაციონალურ-კათოლიკური პარტიის თავმჯდომარე მიროსლავ ორცეხოვსკი ითხოვს, ლუკაშ პოდოლსკის პოლონური პასპორტი ჩამოართვან. „მე უკვე მივმართე თხოვნით ქვეყნის პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკი, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს პროცედურა ლუკაშ პოდოლსკისთვის პოლონური პასპორტის ჩამოთმევაზე. ეს არ არის შურისძიება, მე კანონს ვიცავ. კანონით კი, ჩვენთან ორმაგი მოქალაქეობა იკრძალება. თანაც გერმანიის ნაკრებში მოთამაშე პოლონელები, მშობლიურ ენაზე ინტერვიუსაც კი ვერ იძლევიან. მათ, უბრალოდ, არ იციან პოლონური“ — განაცხადა ორცეხოვსკიმ.

ისე, ორცეხოვსკის რაღა ახლა გაახსენდა პოდოლსკის პასპორტი? თუ აქამდე ჰქონდა, პოლონეთის კარში გატანილი დუბლის შემდეგ გახდა უკანონო?

თავად ლუკაშ პოდოლსკი კი პასპორტზე არაფერს ამბობს, ჟურნალისტებს მხოლოდ ეს უთხრა: „ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოლონეთში დავიბადე. ამ ქვეყანაში ბევრი ნათესავი მყავს და მათ დიდ პატივს ვცემ. როდესაც პოლონეთის ნაკრებს გოლები გავუტანე, შერეული გრძნობა მქონდა. თან მიხაროდა, თან არა“.

ბაჩო სვანიძე



ხაბი ალონსომ იუვენტუსი გადადო

ტურინის „იუვენტუსს“ ხაბი ალონსოსთან მოლაპარაკება ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე არ გამოუვა. ინგლისური „ლივერპულის“ 26 წლის ნახევარმცველმა გადაწყვიტა, ევრო 2008-ზე ესპანეთის ნაკრების გამოსვლის დასრულებამდე, ტრანსფერზე არ ისაუბროს. თუმცა ისიც აღნიშნა, „ბებერ ქალბატონში“ გადასვლა მინდაო.

„ვიცი, რომ „იუვენტუსი“ დაინტერესებულია და მეც მინდა ტურინში გადაბარგება. თუმცა ახლა ამაზე ლაპარაკი არ მსურს, რადგან საფიქრალი ისედაც ბევრია, მთელი ყურადღება ევროპის ჩემპიონატზე მაქვს გადატანილი და მის დასრულებამდე ტრანსფერზე საუბრის დრო არ იქნება“ — თქვა ალონსომ.

ამბობენ, „იუვენტუსი“ აპირებს, ალონსოს დამატებითი სივრცე შეუქმნას რაფაელე პალადინოს გასხვისებითო. თურმე, ტურინელები ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველის მშობლიური ქალაქის გუნდში, „ნაპოლიში“ გაშვებას გეგმავენ.

პარალელურად, „იუვენ“ დაიბრუნა ნორჩი მცველი პაოლო დე ჩელიე, ვინც წინა სეზონში „სიენას“ რიგებში გამოდიოდა. მისი ბოლომდე გამოსყიდვა ტურინელებს დაახლოებით 4 მილიონი ევრო დაუჯდათ. ეს ორი კლუბი იმაზეც შეთანხმდა, რომ ამერიდან ანდრეა როსი მხოლოდ „სიენას“ საკუთრება იქნება. ტოსკანელებმა ამისთვის „ბებერ ქალბატონს“ 1 მილიონი ევრო გადაუხადეს.

გიორგი კაკაბაძე

ფრანკო და ესპანელი დამპყრობლები

ფოტოები, რომლებიც ჩვენს წერილს ახლავს, ახალი არ არის, მაგრამ თემაა მეტისმეტად ცხელი და ამიტომაც ამოტივტივდა — ხსენებული სურათები რომშია გადაღებული, ხოლო მათი მთავარი გმირები კრიშტიანუ რონალდუ და მადრიდის „რეალის“ ფიზიკური მომზადების მწვრთნელი ვალტერ დი სალვო გახლავან.

ცნობისთვის: ბატონი დი სალვო, ადრე თავად მუშაობდა „მანჩესტერ იუნაიტედში“ საიდანაც მადრიდში გადაბრაგდა.

არადა, რა საინტერესოა, „რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი სულ რაღაც გუშინწინ ბრძანებდა, თუნდაც ერთი საბუთი მოიტანეთ, მე ან ჩემი კლუბის თანამშრომლები რონალდუს გადაბირებას რომ ვცდილობთო. აი, ბატონო, საბუთი... თუმცა, მეორე მხრივ, ფოტოთი ხომ ვერაფერს დაამტკიცებ — შეხვდნენ ნაცნობები ერთმანეთს და იცინიან.

„სარბიელის“ მკითხველთათვის კარგად არის ცნობილი რონალდუს გამო „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „რეალს“ შორის ატეხილი შუღლის ამბავი, რომელმაც ბოლო დღეებში კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. საქმე ის არის, რომ აქამდე აღშფოთებული სიტყვებით მხოლოდ „იუნაიტედის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონი გამოდიოდა, ახლა კი „რეალის“ პრეზიდენტმაც ამოიღო ხმა. სენიორ კალდერონმა ფერგიუსონის ის განცხადება ვეღარ აიტანა, სადაც ინგლისის ჩემპიონის სქოთმა მწვრთნელმა „რეალს“ ესპანეთის ყოფილი დიქტატორის ფრანკოს სახელი წამოაძახა, ხოლო მისმა ასისტენტმა, პორტუგალიელმა კარლუშ კეირუშმა, რომელიც ერთი ხანობა, თუ გახსოვთ, თავად წვრთნიდა მადრიდის „რეალს“, თქვა, ჩვენ, პორტუგალიელებმა ესპანელი დამპყრობლები ქვეყნიდან გავყარეთო.

„ფრანკოსა და პორტუგალიის ოკუპაციაზე ლაპარაკი ცოტა გროტესკულ იერს იღებს — ბრძანა „სამეფო გუნდის“ პირველმა პირმა — ასეთი რაღაცეების თქმა ყველაზე ჭკვიანური მოფიქრება ნამდვილად არ იყო. რასაკვირველია, ჩივილის უფლება „იუნაიტედს“ აქვს, მაგრამ „რეალს“ კანონსაწინააღმდეგო არაფერი გაუკეთებია და არც აპირებს. ჩვენ სხვის ცხოვრებაში უხეშად არ ჩავრეულვართ და არც ჩავერევით. ეს ასეა და საწინააღმდეგოს მანჩესტერელები ვერასოდეს დაამტკიცებენ, რადგან ის, რაზეც ისინი ლაპარაკობენ, არასდროს მომხდარა. თავიანთი ურთიერთობა ფეხბურთელმა და მისმა კლუბმა თავად უნდა გაარკვიონ“.

საინტერესოა, „რეალის“ გერმანელი თავკაცის, ბერნდ შუსტერის განცხადებაც:

„კრიშტიანუს ისტორია არ მაღელვებს და არ მტანჯავს. ჩვენ დაცდა გვმართებს, თუმცა, რასაკვირველია, რონალდუს ყიდვა დიდებული იქნებოდა. ის ბრწყინვალედ შეეწყობოდა ჩვენს გუნდს“.

შუსტერის ნათქვამში თითქოს საშინელი მართლაც არაფერია, მაგრამ მთელი ამ არეულობის თავი და თავი ხომ სწორედ „რეალის“ წარმომადგენელთა ამ ტიპის განცხადებები გახლავთ. როგორც ჩანს, ფსიქოლოგიური შეტევა მანჩესტერზე მათი გეგმის ნაწილია და ისინი შანსს არ უშვებენ, თუნდაც ერთხელ რომ არ თქვან რონალდუს „რეალში“ შესაძლო ტრანსფერის ამბავი.

„შეხედეთ, ამ საქმეში როგორ ხერხებს იყენებს „რეალი“ — ცხადდერონის გამონათქვამები, შუსტერის გამონათქვამები და ამ ყველაფერში მათ ხელს ესპანური გაზეთი „მარკა“ უწყობთ. არადა, ფაქტები მარტივია: რონალდუ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელია და ჩვენს კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. ამასწინათ კალდერონმა ასეთი რამეც კი თქვა: მონათმფლობელობა დიდი ხნის გადავარდნილიაო. ვის უთხრა ეს ამბავი, ფრანკოს? დამანებეთ, რა თავი“.

ჩვენი მხრივ კი იმას დავძენთ, რომ როგორც რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი, ფერგიუსონი საქმეში გასარკვევად კრიშტიანუ რონალდუსთან დალაპარაკებას ცდილობდა, ის კი ტელეფონს არ იღებს“.

პაპუნა ძედია





ცოტაპილიზაცორი

1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი	წყვილი	შედეგი	კოეფ-ტი	სისტ

— სიზმარში საყურე ვნახე და რა პონტია, ტო?
— რა ფერი იყო?
— შახმატის დაფის ფერი.
— მრგვალი საყურე თუ კვადრატნი?
— კვადრატნი და ზედ ერთიანები ეწერა.
— აუ, შენ აზრზე არა ხარ, რა პადჩა გააკეთე, ძმაო. შენა ხარ ჯიგარი ჰანდიკაპით, შენა ხარ კაცურანისზე უფრო კაცური კაცურანისი.
— რა იყო, ტო, რა ბექემის პასივით დაბზრიალდი. რა გახტუნავებს, დაეგდე, გამოკუშებული არავის ეგონო და საკუშეთში არ გაგაქანონ. ცვეტში ეგეთი სიზმარი ვნახე.
— იმენნა?
— უეჭველი ეგ იყო და დილიდან ორი ტაიმი მაგაზე ვფიქრობდი. დაჟე დაპალნიტელნი დროში გადავედი.
ნაცნობ მკითხავს დავუზვანოკე და იცი რა მითხრა, ძმაო?
— რაო, ყურები გამოიწმინდე და შახმატის წრეზე შედიო?
— კაი, რა, არ გინდა ეგეთი ბაზარი. სერიოზული მკითხავია, ლიცენზირებულია, და უეჭველებს ამბობს. დაჟე იცი, ამასწინათ რა გამოიცნო?
— თქვი, აბა, რა გამოიცნო?
— ჰილარი კლინტონი ბარაქ ობამას რო დაუწვებოდა, ნუ კაროჩე, რა, კანდიდატურას რო მოხსნიდა ობამას სასარგებლოდ.
— მერე რა, ტო, ეგ პოლიტიკაა, ფუტბოლი კიდე სხვა პონტია.
— აბა შენა ხარ, რა! ხო გითხარი, ლიცენზირებული მკითხავია-მეთქი, ძმაო, თავის საქმეში მარადონაა.
— „ნაპოლიში" თამაშობდა?
— მიდი, რა...
— თუ ეგრეა, მაშინ მეც გამიიასნე ტო, რა გითხრა მარადონამ.
— კაროჩე, არ გააბაზრო, მარტო შენ გეუბნები, იმიტო, რომ ჩემი სიზმრის წილში ხარ.
— ჰა, ამოღერღე, ნუ წელავ შევჩენკოს ტრანსფერივით.
— კაროჩე, მკითხავმა თქვა, საყურე ნიშნავს ხორვატიის ტრენერს სლავენ ბილიჩს.
— ბილიჩი? მე მარტო ილიჩი გამიგია, ვლადიმერი, ტო.
— შენ რა, ფუტბოლებს რო უყურებ, ტრენერებს არ აკვირდები? ბილიჩს მარცხენა ყურზე საყურე უკეთია და სიზმარში რო ვნახე, ეგაა.
კვადრატნი რო იყო, ეგ ნიშნავს ხორვატიის სბორნის ფორმას და ერთიანები კიდე ხორვატების მოგებას გერმანიასთან. კაროჩე, ძმაო, დღეს მაგარი ხორვატია ვარ. უეჭველი იგებს, თან დიდი ანგარიშით.
— შენ და შენი მკითხავი კარგად იყავით, მე მაინც ჩემსას დავწერ, ტო.
— რას წერ?
— ავსტრია-პოლონეთს.
— ავსტრიაზე დგები?
— არა, ტო, რა ავსტრიაზე, სერიოზული ბილეთია.
— აბა მანახე...
— აი, ნახე: ავსტრია-პოლონეთზე იქნება 52 000 და მეტი მაყურებელი.
— მაგას რამდენი კუში უწერია?
— 26 000

ᲙᲣᲨᲘ ᲙᲝᲨᲛᲐᲠᲘᲐ

ჩემი ბილეთი:
001 ხორვატია — გერმანია
შედეგი: სლავენ ბილიჩი საყურეს დაკარგავს
სავარაუდო მოგება: ყურების უფასოდ გახვრეტა მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რომელი არაყი მოატანინა გუს ჰიდინკმა იგორ აკინფეევს მალაზიიდან ესპანეთთან წაგების შემდეგ.

114140 *

ლუის არაგონესი: ჩვენი შიში ჰქონდეთ



ესპანეთის ნაკრების მწვრთნელს ალბათ ყველაზე მწარე კრიტიკის გადატანა მოუხდა, როცა ბოლო ათწლეულს ესპანური ფეხბურთის სიმბოლო რაული ნაკრებს მიღმა დატოვა და მისი შვიდნომრიანი მაისურა დავიდ ვილიას ჩააცვა. არაგონესმა მართლაც რომ ათიანში გაარტყა — ვილიამ, რასაც ჰქვია, დაატერორა რუსეთი და ჰეთ თრიქი შეუსრულა. ლუის არაგონესთან ეს ინტერვიუ კი ესპანეთი — რუსეთის მატჩის შემდეგ გამოქვეყნდა და ჩვენც გადმოვაქართულეთ

— მატჩი ახალი დასრულებულია და ცხელ გულზე საინტერესო იქნება თქვენი დასკვნები...

— ჩვენ შესანიშნავად დავიწყეთ. გოლი დებიუტშივე გავიტანეთ, მაგრამ მომდევნო თხუთმეტი წუთი აშკარად ჩავაგდეთ. გაგვიმართლა, რომ ამ მონაკვეთში გოლი არ გავუშვით. მეორე გოლმა სულზე მოგვისწრო, დავმშვიდდით და კონტრშეტევებით ვთამაშობდით. გარედან შეიძლება ისე ჩანდა, რომ ოთხივე გოლი იოლად გავიტანეთ და ცალი ფეხით მოვიგეთ, მაგრამ მერწმუნეთ, ასე არ იყო. ყოველ შემთხვევაში, სადებიუტო მატჩში ასეთი გამარჯვება შესანიშნავი დასაწყისია.

— ვილიას ჰეთ თრიქი რას ნიშნავს ესპანეთისთვის?

— სიმართლე გითხრათ, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ რუსეთს ოთხ გოლს გავუტანდით. მით უმეტეს, მოულოდნელი იყო ვილიას ჰეთ თრიქი. დავიდმა გამიმართლა და გულით ვულოცავ ბრწყინვალე თამაშს. აქვე ერთსაც განვმარტავ, რომ მერე საკამათო არ იყოს. ესპანეთის ნაკრებს ჰყავს სამი გამტანი მოიერიშე. რუსეთთან ვილიამ გაისროლა, მომდევნო მატჩში ტორესი აიწყვეტს...

— ტორესი რატომ შეცვალეთ?

— ტორესი ჩვენი საკვანძო მოთამაშე და შესანიშნავი შემსრულებელია, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ძალიან დამღლელი სეზონი ჰქონდა და ბოლომდე ვერ აღიდგინა ფორმა. მეორე ტაიმში რუსები გააქტიურდნენ, მოედნის ცენტრში უპირატესობა მოიპოვეს. ბურთი რომ შეგვენარჩუნებინა და მეტოქის აქტიურობა შეგვესუსტებინა, მოედნის ცენტრში კიდევ ერთი ნახევარმცველი გვჭირდებოდა. გადავწყვიტე, ტორესი შემეცვალა, რადგან ის ვერ შეძლებდა რუსების დევნას. რაც შეეხება ფერნანდოს თამაშს, მისით ბოლომდე კმაყოფილი დავრჩი. მან ვილიას ასისტენტობა გაუწია და მეტოქის მცველები მუდმივ პრესში ჰყავდა.

— თქვენ ხშირად იმეორებდით, რომ ესპანეთმა ბრძოლა უნდა ისწავლოს. ამ მხრივ არის პროგრესი?

— დიახ, ბიჭებმა მაქსიმალურად შეძლეს, მეტოქის ფეხბურთელებს „ფეხზე დაჯდომოდნენ" და გასაქანი არ მისცეს. მოედნის ყოველ მონაკვეთზე ნამდვილი ბრძოლა იყო.

— ეს გამარჯვება ალბათ ათმაგად ფასობს...

— რა თქმა უნდა, გარდა იმისა, რომ სამი ქულა მოვიპოვეთ, ყველას დავანახეთ, რომ ესპანეთი არ ხუმრობს. მეტოქეებს ჩვენი შიში ექნებათ, რაც მათ ფსიქოლოგიურად გატეხთ.



რუს ფეხბურთელებს ავსტრიაში ცოლებმა ჩააკითხეს და პაპარაცთა ამ ფოტოს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეუღლეებთან კარგადაც მოულხინეს.

მაგრამ ეს ამბავი ჩვენს გარდა რუსთა ნაკრების მწვრთნელ გუს ჰიდინკსაც შეუტყვია და შეგირდებისთვის შავი დღე უყრია, ცოლებს მოგცემთ, მე თქვენო...

euro_fan_2008@yahoo.com



მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

BORBOLIA777: მივესალმები „სარბიელს" თქვენი მუდმივი მკითხველი ვარ. სხვა ყველაფერთან ერთად, „სარბიელში" სტატიების ორიგინალური სათაური მომწონს. ერთი თხოვნა მაქვს: კარგი იქნებოდა თქვენი რეპორტაჟები ავსტრიიდან და შვეიცარიიდან...

ამ ჩემპიონატზე კი ხორვატიას ვგულშემატკივრობ. არაერთხელ ითქვა, რომ ჩვენ, ქართველებმა, მაგალითი სწორედ ხორვატებისგან უნდა ავიღოთ...

მგონია, რომ იტალია ჯგუფიდან მაინც გავა.

ესპანელები კი ჯიგრები არიან...

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

რუუდი ოფსაიდში არ იყო!

ფეხბურთელი თამაშშია, სანამ მას მოედნიდან გასვლის უფლებას მსაჯი არ მისცემს

ახლა კი დავუბრუნდეთ „სანს“, რომელიც თავის წერილს ასე იწყებს: იმ მომენტში მთელმა იტალიამ თავი გაძარცვულად იგრძნო, მილიონობით სხვა გულშემატკივარმა კი ხელები გაასავსავა. დიახ, სწორედ იმ გოლზე მოგახსენებთ, რომელიც ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა რუუდ ვან ნისტელროიმ 26-ე წუთზე ერთი შეხედვით ორმეტრიანი ოფსაიდიდან გაიტანა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ვან ნისტელროი სულაც არ ყოფილა ოფსაიდში, რადგან მის წინ მატრო მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი კი არა, მცველი კრისტიან პანუჩიც იმყოფებოდა, რომელიც მართალია, ხსენებულ ბუფონთან შეჯახების გამო მოედნის ხაზს გადაღმა იყო გადავარდნილი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონია.

ისედაც საკამათო მომენტის ასეთი განმარტება მაინც დამაბნეველია, რადგან ბუნდოვანია, როგორ უნდა მიეღო ხსენებულ ეპიზოდში რაიმენაირი მონაწილეობა მოედნის ხაზს იქით, სარეკლამო დაფასთან გადავარდნილ პანუჩის. როგორ უნდა ემოქმედა მოვლენებზე კარგად ან ცუდად. როგორ უნდა შეეშალა ვან ნისტელროისთვის ხელი...

ფეხბურთის შეფებმა მშრალად განმარტეს, რომ ფეხბურთის მე-11 წესის მიხედვით, ვან ნისტელროი „თამაშს გარეთ“ არ იმყოფებოდა ანუ „იყო თამაშში“ და შესაბამისად, მისი გოლი (მიუხედავად იმისა, რომ მას და ბუფონს შორის სხვა იტალიელი არ იყო ანუ საქმე ტიპიური ოფსაიდის შემთხვევასთან არ გვაქვს) სამართლიანად ჩაითვალა.

ერთი სიტყვით, ოფსაიდის წესს აქვს ერთი უცნაური ქვეპუნქტი, რომელიც თავის დროზე ფიფამ იმიტომ შემოიღო, რომ დამცველი გუნდის ფეხბურთელებმა მოედანს მიღმა გადასვლით, გადახტომით თუ გადასრიალებით, თავდამსხმელები ოფსაიდში განზრახ არ დატოვონ.

აი, აქ მოვიყვანოთ უეფას გენერალური მდივნის კომენტარი:

„გოლი აბსოლუტურად სამართლიანად ჩაითვალა. ეს, საფეხბურთო საზოგადოების მეტმა ნაწილმა თავიდანვე ვერ აღიქვა და ეს გასაგებია, რადგან სიტუაცია იშვიათი და უჩვეულოა. ვან ნისტელროი თამაშგარეშე არ იყო, რადგან იტალიელთა მეკარის, ჯანლუიჯი ბუფონის გარდა თავდამსხმელის წინ მცველი კრისტიან პანუჩიც იმყოფებოდა“.

მაგრამ, შექსპირისა არ იყოს, ყოფნა არყოფნა, საკითხავი აი, რა არის...

ტეილორი განაგრძობს: „მართალია, პანუჩი მოედანზე არ იყო, მისი პოზიცია ოფსაიდის წესის მიხედვით მაინც გასათვალისწინებელი გახლდათ. ასეთ შემთხვევებში ფეხბურთელი მაინც თამაშის მონაწილედ ითვლება.

ოფსაიდის წესს ასეთი ინტერპრეტაცია რომ არ ჰქონდეს, წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა: დამცველი გუნდი ხაზს იქით გადახტებოდა და თავდამსხმელს თამაშგარეთ დატოვებდა, ეს კი მიუღებელია.

მცველი თამაშშია, სანამ მას მოედნიდან გასვლის ნებას მსაჯი არ მიცემს!“

პაპუნა კედია

ინგლისური გაზეთი „სანი“ ევროპის მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მომენტს უბრუნდება და კომენტარს დევიდ ტეილორს სთხოვს. საუბარი იტალიელთა და ჰოლანდიელთა შეხვედრის პირველ გოლს ეხება — რუუდ ვან ნისტელროიმ რომ შეაგდო „სკუადრა აძურას“ კარში.

ვფიქრობთ, მთელი მსოფლიოს გულშემატკივრისთვის და „სარბიელის“ მკითხველისთვის, გასაგებია, რაზეცაა ლაპარაკი და ამიტომ ორი სიტყვით დევიდ ტეილორის ვინაობას შეგახსენებთ. ეს შოტლანდიელი კაცი უეფას გენერალური მდივანი გახლავთ. უფრო ადრე ის შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფი იყო.

ესპანელთა საფიქრალი დაცვაა

რუსეთი ბოლომდე იბრძოლებს

თუ შედეგით ვიმსჯელებთ, ესპანეთის ნაკრებმა ევრო 2008 შთამბეჭდავად დაიწყო. პირენეელებმა რუსეთი 4:1 გაანადგურეს, თუმცა მათი თამაში, უფრო სწორად კი, დაცვის მოქმედება საკმაოდ არადამაჯერებლი გახლდათ. მიუხედავად ამისა, ესპანელები კმაყოფილნი არიან და ოპტიმისტური განწყობა აქვთ.

ახალგაზრდა ნახევარმცველი დავიდ სილვა:

„ჩვენსას მივაღწიეთ და ტურნირი მოგებით დავიწყეთ. თუმცა ამას გადამეტებული მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ, რადგან წინ კიდევ ორი მატჩი გველის. ციდან მიწაზე უნდა დავეშვათ და ასეთივე შემართებით გავაგრძელოთ თამაში“.

რუსეთის კარში მეოთხე გოლის ავტორი ფრანსესკ ფაბრეგასი:

„ძალიან მინდა, ვილიასთან ერთად „არსენალში“ ვთამაშობდე. დავიდი ინგლისის ჩემპიონატს კარგად შეეწყობოდა. ის სწრაფია და გოლების გატანა მშვენივრად ეხერხება“.

„როგორც ხედებით, ძალიან ბედნიერი ვარ. ჩინებულად ვითამაშეთ, მე კი სამი გოლი გავიტანე, მეტსაც გავიტანდი, რამდენიმე ეპიზოდში ცოტა უფრო ზუსტად რომ მეთამაშა. ასეთი დამაჯერებელი ანგარიში სიმშვიდის საფუძველს გვაძლევს. ახლა მომავალი მატჩებისთვის უნდა მოვემზადოთ. თუ ასე გავაგრძელებთ, ვფიქრობ, მეოთხედფინალიდან გამოვარდნა არ გვემუქრება, დანარჩენზე კი მერე ვილაპარაკოთ“ — განაცხადა ჰეთ თრიქის ავტორმა დავიდ ვილიამ.

რაც შეეხება რუსებს, ისინი დარჩენილი ორი მატჩისთვის ემზადებიან და ისევ ჯგუფიდან გასვლას ლამობენ. მათი ლიდერი ანდრეი არშავინი ჯგუფური ეტაპის მხოლოდ მესამე მატჩში, შვედეთთან შეძლებს თამაშს, როცა დისკვალიფიკაციის ვადა გაუვა. თუმცა იქამდე რუსეთს ევროპის მოქმედ ჩემპიონ საბერძნეთთან აქვს საბრძოლველი.

„საკუთარი თამაში კარგად უნდა გავაანალიზოთ. ახალგაზრდა გუნდი გვყავს და ხშირად ცოტა გულუბრყვილოდ ვირჯებით. თუმცა ცუდად არ გამოვიყურებოდით, განსაკუთრებით გაშვებულ გოლამდე. მერე კი სულელური შეცდომების ტალღა წამოვიდა. ტაიმის მიწურულს გაშვებული უაზრო მეორე გოლი ჩვენს გამოუცდელობაზე მეტყველებს. უნდა მოვუმატოთ და ნამდვილად კარგი თამაშის ჩვენებას შევძლებთ“ — აღნიშნა რუსეთის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა.

ნაკრების კაპიტანი სერგეი სემაკი:

„ბევრი შეცდომა დავუშვით და შედეგად, პირველი ტაიმი 0:2 მორჩა. ამის მერე უკვე ძალიან რთული იყო მატჩის შემობრუნება, მაგრამ შესაძლებელი. სამწუხაროდ, ეს არ გამოგვივიდა, მაგრამ ჩვენს თამაშში პოზიტიური მომენტების დანახვაც შეიძლებოდა. მთელი ყურადღება დარჩენილ ორ მატჩზე გვაქვს გადატანილი. ბოლომდე ვიბრძოლებთ“.

ესპანელტა კარში ერთადერთი გოლის ავტორი რომან პავლიუჩენკო:

„ნეტა, ჩემს გოლს ქულა მაინც მოეტანა ჩვენთვის... თუმცა არა უშავს, წაგებაც უნდა ვიცოდეთ, რაც მოხდა, მოხდა. ახლა მხოლოდ საბერძნეთთან და შვედეთთან მატჩებზე უნდა ვიფიქროთ. შანსი კიდევ გვაქვს და ბოლომდე ბრძოლაა საჭირო“.

„სასაცილოა, როცა 90 წუთი აკონტროლებ მატჩს და 1:4-ს აგებ. როცა მომენტები გვექმნება, სამი მეტრიდანაც ვერ გაგვაქვს, ხოლო დაცვაში ისეთ შეცდომებს ვუშვებთ, რომ სიტყვებით აუწერელია. ასე თუ ვითამაშებთ, როგორღა მოვიგებთ?“ — ეს კი რუსების მეკარის, იგორ აკინფეევის სიტყვებია.

გიორგი ძაძაგაძე



დავიდ ვილია და სესკ ფაბრეგასი

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

I ტურის სიმბოლური ნაკრები („სარბიელის“ ვერსია)



I ტურის სტატისტიკა

გუნდური სტატისტიკა

დარტყმა კარში
ესპანეთი	12
ჰოლანდია	9
პორტუგალია	8

არაზუსტი დარტყმა
იტალია	11
ავსტრია	9
საფრანგეთი	8

პასები (სულ)
საფრანგეთი	560
საბერძნეთი	542
შვეიცარია	516

ზუსტი პასები (%)
საბერძნეთი	80
ესპანეთი	80
საფრანგეთი	79

გრძელი პასები
ავსტრია	121
ჰოლანდია	102
საბერძნეთი	100

ზუსტი გრძელი პასები (%)
ავსტრია	71
რუსეთი	71
ესპანეთი	67

საშუალო პასები
საფრანგეთი	361
საბერძნეთი	349
შვეიცარია	333

ზუსტი საშუალო პასები (%)
ესპანეთი	87
საბერძნეთი	86
გერმანია	84
პოლონეთი	84

მოკლე პასები
საფრანგეთი	127
იტალია	125
გერმანია	117

ზუსტი მოკლე პასები (%)
ჩეხეთი	85
თურქეთი	81
საბერძნეთი	80
ჰოლანდია	80
საფრანგეთი	80

ჩაწოდებები
ავსტრია	24
შვეიცარია	20
გერმანია	16
ხორვატია	16
შვედეთი	16

ზუსტი ჩაწოდებები (%)
იტალია	50
ჰოლანდია	50
რუსეთი	50
რუმინეთი	50

კუთხურები
პორტუგალია	7
ხორვატია	7

თამაშგარე
პორტუგალია	6
გერმანია	5
რუსეთი	5

ჯარიმები
თურქეთი	24
ესპანეთი	22
საფრანგეთი	22

ინდივიდუალური სტატისტიკა

გოლეადორები
დავიდ ვილია (ესპანეთი)	3
ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია)	2

ასისტენტები
მიროსლავ კლოზე (გერმანია)	2
დირკ კუიტი (ჰოლანდია)	2

დარტყმა კარში
დავიდ ვილია (ესპანეთი)	5
რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლანდია)	3
ივიცა ვასტიჩი (ავსტრია)	3

არაზუსტი დარტყმა
ნიკოლა ანელკა (საფრანგეთი)	3
ანდრეას ივანშიცი (ავსტრია)	3

პასები (სულ)
კლოდ მაკელელე (საფრანგეთი)	75
ხავი ერნანდესი (ესპანეთი)	73
იური ჟირკოვი (რუსეთი)	72
სოტირიოს კირიაკოსი (საბერძნეთი)	72
ლუდოვიკ მანინი (შვეიცარია)	70

ზუსტი პასები (%)
ვილიამ გალასი (საფრანგეთი)	98
ანდრეა ბარცალი (იტალია)	97
იაცეკ ბონკი (პოლონეთი)	92
მარიუშ ლევანდოვსკი (პოლონეთი)	92
რობერტ კოვაჩი (ხორვატია)	92

გრძელი პასები
ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია)	36
სტიპე პლეტიკოსა (ხორვატია)	23
რიკარდუ (პორტუგალია)	23

ზუსტი გრძელი პასები (%)
რენე აუფჰაუზერი (ავსტრია)	100
ანგელოს ბასინასი (საბერძნეთი)	89
მარტინ ჰარნიკი (ავსტრია)	89

საშუალო პასები
სოტირიოს კირიაკოსი (საბერძნეთი)	55
კლოდ მაკელელე (საფრანგეთი)	50
ერიკ აბიდალი (საფრანგეთი)	49
ხავი ერნანდესი (ესპანეთი)	49

ზუსტი საშუალო პასები (%)
იგორ აკინფეევი (რუსეთი)	100
დიეგო ბენალიო (შვეიცარია)	100
ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია)	100
იკერ კასილიასი (ესპანეთი)	100
გრეგორი კუპე (საფრანგეთი)	100
მარიუშ ლევანდოვსკი (პოლონეთი)	100
იენს ლემანი (გერმანია)	100
კარლეს პუიოლი (ესპანეთი)	100
პეტრ ჩეხი (ჩეხეთი)	100
ბასტიან შვაინშტაიგერი (გერმანია)	100

მოკლე პასები
მარსელ იანსენი (გერმანია)	23
დინიარ ბილიალეტდინოვი (რუსეთი)	18
ჯენარო გატუზო (იტალია)	18
ვილი სანიოლი (საფრანგეთი)	18

ზუსტი მოკლე პასები (%)
ანდრეა ბარცალი (იტალია)	100
ნიკო კრანჩარი (ხორვატია)	100
პეპე (პორტუგალია)	100
იან პოლაკი (ჩეხეთი)	100
რიკარდუ კარვალიუ (პორტუგალია)	100
ეუსებიუშ სმოლიარეკი (პოლონეთი)	100

ჩაწოდებები
იოახიმ შტანდფესტი (ავსტრია)	9
ლუდოვიკ მანინი (შვეიცარია)	7
დარიო სრნა (ხორვატია)	6

კუთხურები
დარიო სრნა (ხორვატია)	7
ანდერს სვენსონი (შვედეთი)	6
სიმაუ საბროსა (პორტუგალია)	6

თამაშგარე
რომან პავლიუჩენკო (რუსეთი)	4
თუნჯაი შანლი (თურქეთი)	3

სეივები
იგორ აკინფეევი (რუსეთი)	8
სტიპე პლეტიკოსა (ხორვატია)	6
პეტრ ჩეხი (ჩეხეთი)	6

ჯარიმები
დავიდ ვილია (ესპანეთი)	6
დარიუშ დუდკა (პოლონეთი)	5
ქაზიმ ქაზიმი (თურქეთი)	5
იაცეკ კრჟინოვეკი (პოლონეთი)	5
კლოდ მაკელელე (საფრანგეთი)	5
სერგეი სემაკი (რუსეთი)	5
დავიდ იაროლიმი (ჩეხეთი)	5

მასზე დაჯარიმდნენ
იური ჟირკოვი (რუსეთი)	6
დარიო სრნა (ხორვატია)	6
დავიდ ვილია (ესპანეთი)	5
დანიელ ნიკულაე (რუმინეთი)	5
ბანელ ნიკოლიცა (რუმინეთი)	5
პეპე (პორტუგალია)	5

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ_ შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტი





რუსმა ფანებმა ესესერის ნაკრების ოდინდელ ვარსკვლავთა (1960 წლის ევროპის ჩემპიონთა) პლაკატები და ახლანდელ ჯილათა ფოტოები გამოფინეს ტრიბუნაზე ესპანეთთან მატჩისას, აქაოდა, ეგებ ახლაც გავხდეთ ევროპის ჩემპიონებიო. მეტი არ არის ჩვენი და თქვენი მტერი.

... იტალიელი ლუკა ტონი ავტოგრაფების დარიგებით არის დაკავებული, ხოლო ესპანელი მეკარე პეპე რეინა ვარჯიშზე კარგი გარჯით პირველმეკარეობის სტატუსის მოპოვებას ლამობს.

ამასობაში კი შვედი იოჰან ელმანდერი თავის მეუღლე ამანდას ჰკოცნის ბერძნებთან გამარჯვების ნიშნად.

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

B ჯგუფი. II ტური. დღეს

„ვიორტერზეე“, კლაგენფურტი

ხორვატია — გერმანია

საპარაუდო შემადგენლობები

ხორვატია: პლეტიკოსა; ჩორლუკა, რობ. კოვაჩი, შიმუნიჩი, პრანიჩი; სრნა, ნ. კოვაჩი, მოდრიჩი, კრანჩარი; რაკიტიჩი, ოლიჩი

მწვრთნელი: სლავენ ბილიჩი

გერმანია: ლემანი; ლამი, მეცელდერი, მერტეზაკერი, იანსენი; ბალაკი, ფრინგსი, ფრიცი; პოდოლსკი; გომესი, კლოზე

მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი

მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერე (ბელგია)

ვის დარჩება შანსი?

იოზეფ ჰიკერსბერგერი და ავსტრიის ნაკრების მენეჯერი ანდრეს ჰერცოგი

ავსტრიელთა დამრიგებელმა იოზეფ ჰიკერსბერგერმა თავის შეგირდებს უთხრა, პოლონელებთან წაგება არ უნდა დავუშვათ, თორემ ჯგუფში ჩარჩენა არ აგვცდებაო. დიდი ამბავი, თუ უთხრა, ეს ხომ ისედაც ცხადია — ავსტრიელებისთვის წაგება არაფრით შეიძლება, ისევე, როგორც პოლონელებისთვის, რაკი გუნდებმა ევროჩემპიონატის სადებიუტო მატჩები დათმეს და მორიგი უიღბლობა მათ საპლეიოფო შანსებს დაასამარებს.

ამ შეხვედრას სხვანაირად მატჩშანსი შეიძლება ეწოდოს. ამ ორთაბრძოლაში გამარჯვება ხომ ორივე გუნდისთვის იმედის ნაპერწკალია, რომ პროგრამა-მაქსიმუმი (ვეჭვობთ, რომელიმე მათგანს ოთხეულში მოხვედრის რეალური ამბიცია ჰქონდეს) შეასრულოს და ჯგუფიდან გავიდეს. მართალია, მხოლოდ ეს ერთი გამარჯვება არ იკმარებს პლეიოფში გასაძრომად, მაგრამ ასეთი კალიბრის გუნდებისთვის ხომ მთავარი მოტივაციის ბოლომდე შენარჩუნებაა.

ჰოდა, ავსტრიელებიც და პოლონელებიც ამ შანსის ჩასაბღუჯად გამორჩეულად ემზადებიან. პირველ ტურში ორივე გუნდმა ცხადყო, რომ ბრძოლა შეუძლია. ავსტრიამ ვითომდა ერთი თავით მაღლა მდგარი ხორვატია ანერვიულა მეორე ტაიმში, პოლონეთი კი მთელი თამაში ჩხვლეტდა გერმანიას და რომ არა ბავშვური შეცდომები დაცვაში, ვინ(ნ)ლო, არც კი წაეგო.

„ყველასთვის ცხადია, რომ ესაა ჩვენთვის გადამწყვეტი მატჩი — ამბობს ჰიკერსბერგერი — თუმც იმავეს თქმა შეიძლება პოლონელებზეც, რომლებიც, რადაც დაგვიჯდება, უნდა დავამარცხოთ. თავიდანვე რისკზე უნდა წავიდეთ, თუკი შედეგის მიღწევა გვინდა“.

ავსტრიელთა თავკაცი კმაყოფილია თავისი გუნდის პირველ ტურში გარჯით და ამბობს: „მეორე ტაიმში ხორვატებს ძალიან კარგად ვეთამაშეთ. ჩვენ გავუმართეთ ბრძოლა ისეთ ძლიერ გუნდს, რომელთან თანასწორ თამაშსაც ერთი თვის, თუნდაც ერთი კვირის წინ, ვერც კი წარმოვიდგენდი“.

ავსტრიელებს მსუბუქად დაუშავდათ როლანდ ლინცი და ემანუელ პოგატეცი, რომელთა თამაშიც დღეს „ერნსტ ჰაპელის“ სტადიონზე სათუოა.

რაც შეეხება პოლონელებს, მათ ბანაკში მეტი ცვლილებაა — ზოგი იძულებითი, ზოგიც წინასწარ განზრახული. გერმანელებთან მატჩის პირველ ტაიმში დაშავებული სლავთა კაპიტანი მაცეი ჟურავსკი ჩემპიონატს ემშვიდობება — ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი პოლონელები ჯგუფიდან ვერ გავლენ.

ჟურავსკის ნაცვლად ძირითადში სავარაუდოდ როუერ გერეირო ითამაშებს, რომელიც ბრაზილიელია და პოლონური პასპორტი გასულ აპრილს ჩაახუტეს. გერეირომ ჩინებულად ითამაშა გერმანელების წინააღმდეგ და მათ ერთი-ორჯერ „ბრაზილიური“ გაკვეთილიც ჩაუტარა.

პოლონელთა მწვრთნელმა ლეო ბეენჰაკერმა გერმანელებთან შემცდარი პაველ გოლანსკი გაიცხა და მის ნაცვლად დაცვაში, სავარაუდოდ, იაკუბ ვავრჟინიაკს დააყენებს. გოლანსკი შეცდა იმ ხელოვნური თამაშგარის შესრულებისას, რომლის შემდეგაც გერმანელებმა გოლი შეაგდეს.

„გოლი, რომელიც გერმანიისგან მივიღეთ, ინდივიდუალურ შეცდომას მოჰყვა. ეს დაცვის არაორგანიზებულობის გამო მოხდა, ვიღაცამ დაიგვიანა აწევა და დასანანი შედეგი მივიღეთ. ეს აღარ უნდა დავუშვათ“ — აცხადებს ბეენჰაკერი.

იმედიანადაა განწყობილი პოლონელთა გოლეადორი ები სმოლიარეკი: „ავსტრიასთან ყველაფერი უნდა გავიღოთ, რათა ხორვატებთან ბოლო ტურში ბრძოლას აზრი ჰქონდეს. ვფიქრობ, ჩვენ ორივე მეტოქის დამარცხება შეგვიძლია“.

ირაკლი პერტაია

ტესტი ფავორიტობაზე

„ერნსტ ჰაპელი“, ვენა

ავსტრია — პოლონეთი

საპარაუდო შემადგენლობები

ავსტრია: მახო; პრიოდლი, შტრანცლი, პოგატეცი; აუფჰაუზერი, ზაუმელი, შტანდფესტი, გერკალიუ; ივანშიცი, კინასტი, ჰარნიკი

მწვრთნელი: იოზეფ ჰიკერსბერგერი

პოლონეთი: ბორუცი; ვასილევსკი, ჭველაკოვი, ბაკი, ვავრჟინიაკი; დუდკა, ლევანდოვსკი, ლობოძინსკი, კრეინოვეკი; სმოლიარეკი, როუერ გერეირო

მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი

მსაჯი: ჰოვარდ უები (ინგლისი)

B ჯგუფის ფავორიტები კალენდარმა მეორე ეტაპზე შეყარა, როცა უკვე ორივეს თითო გამარჯვება აქვს აქტივში და ჰა-და-ჰა, ახლა უნდა გამოკვეთოს ფავორიტის სტატუსი.

პროგნოზები მაინც გერმანიის გამარჯვებისკენ იხრება, რაკიღა იოახიმ ლიოვის გუნდმა პირველში მეტად თავდაჯერებულად და ზურგში ხელწაკრული ჩანდა და პოლონეთის ძლევით განწყობაც საფავორიტო შეიქმნა. და საერთოდ, კარგა ხანია, ეს ნაკრები არ ყოფილა ასეთი ძლიერი და გაწონასწორებული და ბოლო წლებში ყბადაღებულ თემაზე, გერმანული ფეხბურთის კრიზისზეც ალბათ დროა, მორჩეს საუბარი. იოახიმ ლოვის კრებული ყველა რგოლში ძლიერია, თავდასხმაც გოლგამტანი ჰყავს და დაცვაც არგამშვები. პოლონელთა ძლევის შემდეგ ტომით პოლონელი პოტოლსკი ამბობდა, გულიც კი დამწყდა, „ჩემიანებს“ გოლებს რომ ვუტანდიო. ესე იგი, ის ხორვატიასთან მეტად დაიგეშება გოლზე, ხოლო ხორვატებს მთლად ჰაერგაუმტარი დაცვა რომ ვერ ჰყავთ, მჭლე ავსტრიასთანაც გამოჩნდა.

ხორვატთა თავკაცი სლავენ ბილიჩი მაინც ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებს (აბა, თამაშამდე ხომ არ ჩამოუშვებს ცხვირს) — აქაოდა, კარგი შანსი გვაქვს, მეოთხედფინალს მივუახლოვდეთ, თუ მეტოქეზე თამამად მივალთ. იმის საფუძველი კი გვაქვს, რომ გერმანიას ყველა კომპონენტში ტოლსწორად დავუდგეთო. ხორვატებს არაერთხელ გამოუვლენიათ რანგით მაღალსაფეხბურთო ნაკრების ძლევის უნარი, თუნდაც 1998 წლის მეოთხედფინალში ხომ დაამარცხეს გერმანია და ორი წლის წინ ევროპირველობაზე ასევე მეოთხედფინალში მარცხისთვის სამაგიერო უზღეს. ის ორივე შეხვედრა ნათამაშები აქვს ბალიჩს, ასე რომ, ამ გუნდისგან მართლაც ყველაფერია მოსალოდნელი და ერთი თამაშის „ჩაგდება“ ბევრს არას ნიშნავს.

„თუ მათი არ შეგვეშინდება და ჩვენს საუკეთესო თამაშს ვაჩვენებთ, მერე ვნახავთ, ვინ მოიგებს“ — იმუქრებასავით ივან რაკიტიჩი, ვინაც, შესაძლოა, ფორმიდან ამოვარდნილი მლადენ პეტრიჩის ნაცვლად დადგეს წინა ხაზში.

ფავორიტობა იქით იყოს და, ხორვატებს გერმანელებიც ფრთხილად ზვერავენ. „მათ ამ ტურნირზე თან დიდი ამბიციები მოიტანეს“ — ამბობს ლიოვის გუნდის ლიდერი მიხაელ ბალაკი — შესარჩევში ორჯერ დაამარცხეს ინგლისი. დარწმუნებული ვარ, რომ პოლონელებზე მწვავედ შემოგვიტევენ“.

ტაქტიკურ-სქემობრივ ჭრილში კი ლიოვს დასაფიქრებელი არა აქვს, იმდენად ბევრი ნიჭიერი ბიჭი დაუდის წინ ვარჯიშებზე. გუნდი შეკრულია, შემტევია, გამტანია, ასე რომ, ლიოვს ერთადერთი საანალიზო თემად აქვს, წინა თამაშში „გაყვითლებული“ ბასტიან შვაინშტაიგერი ძირითადში დააყენოს თუ მერესთვის შეინახოს. სხვა ყვითლიანი, არავინ ჰყავს. ასევე ერთი გაფრთხილებული ჰყავთ ხორვატებს — რობერტ კოვაჩი.

ახლა ცოტა ხნით მოვწყდეთ ბურთს და მოედანს და კლაგენფურტის პოლიციის მიმღებში შევიხედოთ. თურმე, ავსტრიული პოლიცია 3 000 სამართალდამცავს რაზმავს, რომელთა შორის 400 გერმანელი იქნება. მატჩი ხულიგნობის შკალაში ყველაზე რისკიანთა კატეგორიაში გადის, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც პოლონელთა ძლევის შემდეგ გერმანელმა ფანებმა პატარა ავსტრიულ ქალაქს 70 წლის წინანდელივით გადაუარეს. ავსტრიულმა პოლიციამ კი 157 გერმანელი ხულიგანი დააკავა. „ამ ჯგუფის ორივე თამაშზე უმაღლესი იქნება მობილიზება და კონკრეტულად ამ თამაშის უსაფრთხოების დაცვაზე გერმანელი სპეციალისტებიც დაგვეხმარებიან“ — ამბობს ავსტრიელი ხულიგანთა სპეციალისტი ჰარალდ მალტე.

იოახიმ ლიოვი

ირაკლი ფირაშვილი

გერმანია	1	1	0	0	2:0	3
ხორვატია	1	1	0	0	1:0	3
ავსტრია	1	0	0	1	0:1	0
პოლონეთი	1	0	0	1	0:2	0

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში“ სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

A ჯგუფი. II ტური

№9 ჩეხეთი 1:3 პორტუგალია

11 ივნისი. ჟენევა (შვეიცარია). „სტად დე ჟენევი". 29 016 მაყურებელი

0:1 დეკუ (8), 1:1 სიონკო (17), 1:2 კრიშტიანუ რონალდუ (63), 1:3 კვარეშმა (90)



შეცვლა: მატეიოვსკი – 11. ვლჩეკი (68), გალაშეკი – 9. ჯოლერი (73), ჟოაუ მოუტინიუ – 5. ფერნანდუ მეირა (75), ნუნუ გომეში – 9. უგუ ალმეიდა (79), სიმაუ – 17. კვარეშმა (80), პლაშილი – 14. იაროლიმი (85)

გაფრთხილება: ჰოლაკი (22), ბოსინგვა (31)

მსაჯები: ჯიროს ვასარასი (საბერძნეთი); დიმიტრის ბოზაციდისი (საბერძნეთი), დიმიტრის სარაიდარისი (საბერძნეთი)

16	ჯარიმა	15
6	კუთხური	6
7	ჯარისკენ დარტყმა	4
2	ჯარში დარტყმა	11
0	თამაშგარე	3
23,51 წთ	ბურთის ფლობა	34,50 წთ
40%	ბურთის ფლობა	60%

დახვეწილი პორტუგალია და მებრძოლი ჩეხეთი

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ თუ შვეიცარიასთან მოგების შემდეგ ჩეხეთს აკრიტიკებდნენ, ახლა, წაგების მიუხედავად, საკრიტიკო თითქმის არაფერია. კარელ ბრიუკნერის შეგირდებმა მშვენივრად ითამაშეს, ბოლომდე იბრძოლეს და ცოტა რომ გამართლებოდათ, სულ მცირე არ წააგებდნენ. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბრწყინვალე პორტუგალიას გარჯა წყალში უნდა ჩავუყაროთ და რამე აუგი შევაწიოთ.

ლუიშ ფელიპე სკოლარიმ თამაში იგივე შემადგენლობით დაიწყო, რომლითაც თურქეთს მოუგო. ბრიუკნერმა კი სასტარტო თერთმეტეულში ორი ცვლილება გააკეთა — იან კოლერის ნაცვლად მინდორზე მილან ბაროში გამოიყვანა, რომელიც სულაც არ ყოფილა ცუდ ფორმაში, ხოლო დავიდ იაროლიმის ნაცვლად უფრო შემოქმედი მარეკ მატეიოვსკი შეუშვა.

თამაში ცოტა არეულად დაიწყო, მაგრამ გუნდები ნელნელა დალაგდნენ და პორტუგალიამ უმალვე გახსნა ანგარიში. კრიშტიანუ რონალდუსა და ნუნუ გომეშის მშვენიერი კომბინაცია დეკუმ დააგვირგვინა. პეტრ ჩეხმა ლომივით კი იბრძოლა და, რასაც ჰქვია, ყველაფერი გააკეთა, რათა მის კარში გოლი არ გასულიყო, მაგრამ...

მთლიანობაში პორტუგალიელთა მხრიდან საუკეთესონი ტრადიციულად დახვეწილად მოთამაშე დეკუ და რონალდუ იყვნენ, რომელმაც ერთი გოლი თავად გაიტანა და ორ სხვა საგოლე კომბინაციაში კი მონაწილეობა მიიღო.

ჩეხები მყისვე გააქტიურდნენ. მათი შეტევების უმეტესობა კვლავ მარჯვენა ფლანგიდან ხორციელდებოდა, სადაც ისევ საოცრად აქტიური გახლდათ ტანჩია, დაუღალავი და მშრომელი ლიბორ სიონკო, ვინაც ამჯერადაც ჩეხთან ერთად ნაკრების საუკეთესო მოთამაშე გახლდათ.

ერთხელაც, სიონკოს მარჯვნიდან ჩვეულ განავარდებასა და მწვავე ჩაწოდებას კუთხური მოჰყვა, რომელიც იაროსლავ პლაშილმა ჩააწოდა და იმავ სიონკომ ვარდნაში თავურით ჩაჭედა ბურთი რიკარდუს კარში.

შესვენებამდე დეკუმ გაისროლა ყუმბარასავით, მაგრამ არაზუსტად, რონალდუს ორი მწვავე დარტყმა კი ჩეხმა გააუვნებელყო.

ჩეხთაგან იმავ სიონკოს შეეძლო გატანა, კვლავაც პლაშილის პასით, მაგრამ კარგად ვერ დაარტყა.

მეორე ტაიმიც იმით დაიწყო, რომ სიონკო მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და კროსიც გააკეთა, მაგრამ შორეულ ძელთან ბურთს ვერავინ დაზვდა.

ამის მერე პორტუგალიელებმა ინიციატივა ხელთ იგდეს და რამდენიმე მომენტიც შექმნეს, მაგრამ ხან ხეირიანად ვერ დაარტყეს, ხანაც ისევ ჩეხმა იყოჩაღა.

ჩეხთა კარში გოლი კი სწორედ მაშინ გავიდა, როცა მათ თითქოს ზეწოლას გაუძლეს და ეს მძიმე მონაკვეთი გადააგორეს. მეტიც, აქეთ კინაღამ გაიტანეს. თუმცა დეკუს გარღვევას და უზადო პასს რონალდუს ოსტატური დარტყმა მოჰყვა 13-14 მეტრიდან და 2:1.

ბრიუკნერმა ჯერ სტანისლავ ვლჩეკი გამოუშვა, მერე კი კოლერი. ამ ცვლილებებს შორის სკოლარიმ პირველ მატჩთან შედარებით უფერულად მოთამაშე ყოაუ მოუტინიუს ნაცვლად მინდორზე ფერნანდუ მეირა შეუშვა და დაცვა გააძლიერა.

ჩეხებმა მეტ-ნაკლებად მწვავე მომენტები საკმარისად შექმნეს, 84-ე წუთზე სიონკოს თავური კი განსაკუთრებით უნდა გამოვარჩიოთ, როცა რიკარდუმ ბრწყინვალე რეაქცია გამოავლინა. თუმცა პორტუგალიელთა კარში მეორე გოლი აღარ გავიდა.

მაშინ კი, როცა უკვე დამატებული წუთები იყო დაწყებული, ჩეხები მეტოქემ კონტრიერიშზე გამოიჭირა — რონალდუ პირისპირ გავიდა ჩეხთან, მაგრამ თავად არ დაარტყა, სიმაუ საბოლოოს ნაცვლად მინდორზე შესულ რიკარდუ კვარეშმას დაუგორა და მანაც ცარიელ კარში შეაგორა ბურთი.

ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესო და თვალსაჩინო მატჩი გამოვიდა. ორივე გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. უბრალოდ, ამჟამად, ტექნიკური თვალსაზრისით პორტუგალიელები ჩეხებზე უკეთესნი არიან და დიდწილად სწორედ ამის ხარჯზე მოიგეს. თუმცა ისიც გამოჩნდა, რომ ბრიუკნერის გუნდს ჯგუფიდან გასვლის პოტენციალიც აქვს და ბევრის გამწარებისაც.

ერთიც, მატჩი დასრულდა თუ არა, ელექტრონულ პრესაში გავრცელდა სენსაციური ცნობა: „ფელიპაუ", იგივე ლუიშ ფელიპე სკოლარი 1 ივლისიდან ლონდონის „ჩელსის" მთავარმწვრთნელობას შეუდგებაო. „საუცხოო არჩევანი გავაკეთეთ" — დაიწერა ლონდონური კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე...

გიორგი კაკაბაძე

პეტრ ჩეხმა (№1) ლომივით კი იბრძოლა, მაგრამ დეკუს ბურთი მაინც დაანება

ვინ რა თქვა

კარელ ბრიუკნერი: ვფიქრობ, ძალიან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ დავმარცხდით ძალიან ძლიერ გუნდთან, რომელიც ახლა ფორმის პიკზეა. მგონი, ჩემმა ცვლილებებმა გაამართლეს. თუმცა იყვნენ ფეხბურთელებიც, რომლებმაც წინა შეხვედრასთან შედარებით, უარესად ითამაშეს. დამტკიცდა, რომ დაცვაშიც და თავდასხმაშიც კარგად შეგვიძლია თამაში. მესამე მატჩისთვის მზად ვართ.

ლუიშ ფელიპე სკოლარი: ძალიან ამაყი ვარ ჩემი ფეხბურთელებით, რადგან მათ მეოთხედფინალისტობა ფაქტობრივად საწყის ორ მატჩში გაინაღდეს. კარგია, რომ გარკვეული სირთულეები გადავლახეთ და თურქეთსაც და ჩეხეთსაც მშვენიერი თამაშით, დამსახურებულად ვძლიეთ. თუმცა მთავარი ბრძოლა წინ არის და ყურადღების მოდუნება არაფრით შეიძლება.

მატჩის მსვლელობისას დეკუმ კრიშტიანუ რონალდუს ბურთი 14-ჯერ გადასცა, ხოლო თავად ამდენიმე პასი პაულუ ფერეირასგან მიიღო.

მთლიანობაში დეკუმ ყველაზე მეტი — 73 პასი გააკეთა, ბოსინგვასა და პეტიტის ანგარიშზე, შესაბამისად, 63 და 62 პასია.

პეტრ ჩეხმა პორტუგალიელთა 7 დარტყმა მოიგერია, მაშინ როცა მისმა ვიზავი რიკარდუმ — ერთადერთი. პორტუგალიელთა გოლკიპერი ლიბორ სიონკომ შეაწუხა, ვინც ჩეხთა ერთადერთი გოლიც შეაგდო.

ჩეხეთის ნაკრების ექვსივე კუთხური იაროსლავ პლაშილმა ჩააწოდა.

ყველაზე მეტჯერ მარეკ მატეიოვსკი და პეტიტი დაჯარიმდნენ — ოთხ-ოთხჯერ, ხოლო პეპეს წინააღმდეგ ჩეხებმა თამაშის წესები 5-ჯერ დაარღვიეს.

მოგვწერეთ თქვენი პროგნოზები და მოსაზრებები, ვის გულშემატკივრობთ და რატომ... შემდეგ კი თქვენს წერილებს „სარბიელში" სხვებიც წაიკითხავენ

euro_fan_2008@yahoo.com

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი

A ჯგუფი. II ტური

№10 შვეიცარია 1:2 თურქეთი

11 ივნისი. ბაზელი (შვეიცარია). „სენტ-იაკობ-პარკი". 40 000 მაყურებელი

1:0 ჰაქან იაქინი (32), 1:1 სემიჰი (57), 1:2 არდა თურანი (90)

1 ბენალიო

მწვრთნელი იაკობ კუნი

5 ლიხტშტაინერი **20 მიულერი** **4 სენდეროსი** **3 ზანინი**

19 ბეჰრამი **8 ინლერი** **15 ჟელსონი** **16 ბარნეტა**

10 ჰაქან იაქინი

12 დერდიოქი

17 თუნჯაი **8 ნიჰათი**

11 თუმერი

14 არდა თურანი **10 გიოქდენიზი**

7 აურელიო

3 ჰაქან ბალთა **22 ჰამით ალთინთოფი**

2 სერვეთი **15 ემრე აშიქი**

მწვრთნელი ფათიჰ თერიმი

23 ვოლქანი

შეცვლა: გიოქდენიზი – 9. სემიჰი (46), თუმერი – 6. მეჰმეთ თოფალი (46), ბარნეტა – 22. ფონლანტენი (66), ჟელსონი – 7. ჯაბანიასი (76), ჰაქან იაქინი – 14. ჯიგა (85), ნიჰათი – 18 ქაზიმი (85)

გაფრთხილება: თუნჯაი (31), აურელიო (41), ჰაქან ბალთა (48), დერდიოქი (55)

მსაჯები: ლიუბოშ მიხელი (სლოვაკეთი); რომან სლიშკო (სლოვაკეთი), მარტინ ბალკო (სლოვაკეთი)

22	ჯარიმა	24
6	კუთხური	5
7	კარისკენ დარტყმა	4
7	კარში დარტყმა	4
4	თამაშგარე	3
18,25 წთ	ბურთის ფლობა	21,22 წთ
46%	ბურთის ფლობა	54%

შვეიცარია სახლში წავიდა

პირველი: ბოლო ტურში შვეიცარიასთან წაგების შემთხვევაშიც პორტუგალია ექვსი ქულით ჯგუფში პირველ ადგილს შეინარჩუნებს, თუნდაც ჩეხეთმა ან თურქეთმა ექვსი ქულა მოაგროვოს, რადგან ამ გუნდებს პორტუგალიამ პირადი შეხვედრები მოუგო.

ეს ნიშნავს, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარის ნაკრები მეოთხედფინალში B ჯგუფის მეორეადგილოსანს შეხვდება.

მეორე: შვეიცარია პორტუგალიასთან მოგების შემთხვევაშიც ბოლო ადგილზე დარჩება. ერთი თანამასპინძლისთვის ტურნირი ჯგუფური ეტაპით 17 ივნისს დასრულდება.

დიდი ამბით ემზადებოდა შვეიცარიის ნაკრები ჩემპიონატისთვის და მეოთხედფინალზე ოცნებობდა, მაგრამ...

წუხანდელ მატჩთან დრამატულობით, აქამდე გამართული ვერცერთი შეხვედრა ვერ მივა.

2005 წელს ამ გუნდებს შორის სტამბოლში მომხდარ ჩხუბზე ფეხბურთელები მატჩამდე ამბობდნენ, უკვე დავიწყებულიაო, მაგრამ იმ ჩხუბს კუდები მაინც გამოუჩნდა.

ფარული შუღლი გამოიხატებოდა აუტებისას ბურთის დროულად არმიწოდებაში, კუთხურების და საჯარიმოების შესრულებისას გადამეტებულ ჯაჯგურში და ნაწვიმარზე სახიფათო „პადკატებში".

წვიმა კი, განსაკუთრებით პირველი ტაიმის მსვლელობისას, მართლაც კოკისპირული იყო.

სწორედ გუბის წყალობით გაიტანა ჰაქან იაქინმა გოლი ცარიელ კარში. ბურთი ხონჩით მირთმეულივით დაუსკუპდა წინ. საინტერესო ისაა, რომ კომბინაცია თურქული იყო. იაქინს პასი გიოქჰან ილნერმა მიაწოდა.

შვეიცარიასაც ჰყავდა ამ მატჩში თავის კლოზე-პოდოლსკი. პოლონელებს ხომ გაგერმანელებულმა პოლონელმა გაუტანა გოლები, თურქებს კი შვეიცარიელმა თურქმა, მაგრამ იაქინმა პოდოლსკივით დუბლი ვერ შეასრულა, არადა გოლიდან ორ წუთში ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა. მაშინ უკვე დატბორილი მოედანი ვეღარ დაეხმარა და წყალმა ბურთი არ გაუჩერა, რომ ისევ ცარიელ კარში შეეგდო.

უკეთესი მომენტი კი შეცვლაზე შესულ კაბანიასს ჰქონდა, როცა მატჩის მიწურულს სამი შვეიცარიელი ერთ მცველთან და მეკარესთან პირისპირ დარჩნენ, მაგრამ ბურთი ვოლქანს დაუმიზნა და მთელმა შვეიცარიამ ამოიგმინა.

მანამდე კი სემიჰ შენთურქის გოლი იყო. ფათიჰ თერიმმა იგი მეორე ტაიმში შეცვლაზე შეუშვა და ბიჭმა დაამტკიცა, რომ თავი აბია — თავით კოხტა გოლი შეაგდო. ბენალიომ ბურთს ხელები კი შეაგება, მაგრამ სისველემ თავისი გაიტანა.

დასასრული კი მასპინძლებისთვის საშინელი გამოვიდა. არდა თურანის დარტყმული ბურთი მიულერის მუხლზე ასხლტა, მეკარეს თავზე გადააფრინდა, ხარიხის ქვეშ შეძვრა და შვეიცარია დადუმდა.

ვაჟა ხუციშვილი

პორტუგალია	2	2	0	0	5:1	6
ჩეხეთი	2	1	0	1	2:3	3
თურქეთი	2	1	0	1	2:3	3
შვეიცარია	2	0	0	2	1:4	0

ბომბარდირები

დავიდ ვილია (ესპანეთი)	3
ლუკაშ პოდოლსკი (გერმანია)	2

არდა თურანის (№14) ამ გასროლამ შვეიცარია თამაშგარეთ დატოვა

ვინ რა თქვა

მიშელ პლატინი, უეფას პრეზიდენტი: „დღეს ჩვენ ბრწყინვალე ფეხბურთი ვნახეთ. ამასთანავე, ეს ჩემპიონატი კორექტულობითაც გამოირჩევა. ხუთი დღე და ათი თამაში მიილია და ჯერ არავინ გაუძევებიათ, ხოლო ყვითელი ბარათები 40 პროცენტით უფრო ნაკლებია, ვიდრე წინა ევროპის ჩემპიონატისას თორმეტი თამაშის მერე."

იაკობ კუნი: „იმედგაცრუებულნი ვართ, ჩვენ ჯგუფში ჩავრჩით, არადა, ჩვენს უამრავ გულშემატკივარს იმედი ჰქონდა, რომ მეოთხედფინალში გავიდოდით, თუნდაც იმიტომ, რომ ტურნირის მასპინძლები ვართ."

ფათიჰ თერიმი: ეს საოცარი გრძნობაა, ჩემს ფეხბურთელებს ამ დიდ გამარჯვებას ვულოცავ და მჯერა, რომ მეტის მიღწევაც შეგვიძლია."

თამაშის მსვლელობისას ყველაზე მეტი, 4 დარტყმა შვეიცარიელმა ჰაქან იაქინმა შეასრულა, აქედან — 2 არაზუსტად.

შეხვედრის ყველაზე უხეში მონაწილე თურქი შემტევი თუნჯაი შანლი გახლდათ, ვინც თამაშის წესები 5-ჯერ დაარღვია, ხოლო შვეიცარიელმა ნახევარმცველმა გიოქჰან ინლერმა მეტოქეთა უხეშობით 6-ჯერ იზარალა.

ჰამით ალთინთოფმა 51 გადაცემა შეასრულა, აქედან 7 — თუნჯაის მისამართით.

თურქების გოლკიპერმა ვოლქან დემირელმა შვეიცარიელთა 5 დარტყმა მოიგერია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი ღარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინსარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge